140
1966/2

3

1966

# პიონერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება დედას!

სამას სამოცდახუთი დღეა, შენც იცი, წელი,
და მარტო რვა მარტს ცოტას ნიშნავს ლარნაკში ია;
შეუმსუბუქე დედას ტვირთი მძიმე და ძნელი
და სიყვარულიც ყველა გეტყვის, რომ ამას ჰქვია.

შეშას რომ აპობ, დაუზარლად ოჯახში საქმობ,
ოჯახიშვილი ოჯახისთვის სიკეთეს ცდილობ,
ის, შესაძლოა, მეტის ლხენით არაფერს ამბობს,
შენ, შესაძლოა, სიტყვაძვირი დედაც გყავს, შვილო,

მაგრამ იმდენი ხალისი და სიამე ავსებს,
გულში იმდენი იმედი და სითბო ეღვრება,
ისე ამაყად მიაბიჯებს ცხოვრების გზაზე,
რომ მიწაზეა და ოცნებით ზეცას ეხება.

«დიდება დედას!—როცა ერთხმად ვყვირივართ რვა მარტს,
გულს გაუმარჯოს—გულს მხურვალეს, სათნოს და კეთილს!»
კარგი იქნება ჩავუფიქრდეთ, ბავშვებო, ამას,—
ყველაზე დიდი გამარჯვება რა არის დედის.

მეც მიფიქრია, მეც მიგრძვნია ბევრი თუ ცოტა,
ხოლო ჩემამდე საგანძური დაწერეს მთელი:
წერდა ილია, წერდა ვაჟა და წერეთელი,
«ლეკვი ლომისა სწორიაო»...—გვეტყოდა შოთა.

დაიმახსოვრეთ ძველთა ჩვენთა გამოცდილება—
ბევრი მადლობა დედის ხელს და დედის გულს სწირეთ...
დედის ხელებმა სასოებით გამოწვდილებმა
მე შთამაგონეს ეს სიბრძნე და ეს ლექსი მცირე.

ბევრი ვიფიქრე და დედაზე დავწერე ცოტა,
რადგან ჩემამდე საგანძური დაწერეს მთელი:
წერდა ილია, წერდა ვაჟა და წერეთელი,
«ლეკვი ლომისა სწორიაო»...—გვეტყოდა შოთა.

ქალი—სიცოცხლე, ქალი—ცოლი, დაი და დედა!
გულმხურვალება და სიწმინდე პირველი თოვლის!
ცხოველმყოფელი სათავე და საწყისი ყოვლის!—
ამ სტრიქონებსაც ხომ ნამდვილი პოეტი წერდა!

მაგრამ მეცა მაქვს საკუთარი გამოცდილება,
ბევრი მადლობა დედის ხელს და დედის გულს ვწირე,
დედის ხელებმა სასოებით გამოწვდილებმა
მე შთამაგონეს ეს სიბრძნე და ეს ლექსი მცირე.



**მურმან ლებანიძე**

ვადიდოთ ქალი—დედა, რომლის სიყვარულსაც არა აქვს საზღვარი. ვის ძუძუსაც გამოუზრდია მთელი ქვეყანა! ყველაფერი მშვენიერი ადამიანში—მზის სხივებისა და დედის რძის მადლია, აი რა აღგვავსებს ცხოვრებისადმი სიყვარულით!

მ. გორკი.

დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის, ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა, საქმე დედაკაცობაა... რომელსაც სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზე უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს.

ილია.

# იცნობდეთ: ჩვენი ხელმძღვანელი

ბიჭი და გოგონა ახლაშენებულ სკოლის შენობასთან გაჩერდნენ. სული მოითქვეს. ნეტავ, რა აჩქარებდათ? — დანიშნულ დროზე ბევრად ადრე მოვიდნენ.

— ავიდეთ პიონერთა ოთახში,— თქვა ბიჭმა.

— ჯერ კიდევ ადრეა, არავინ იქნება.

— ხელმძღვანელი? — ჭაოცებით იკითხა ბიჭმა.

ხელმძღვანელი კი, მართლაც, იქ ელოდათ.

— მიყვარს რაჰიმა პიონერხელმძღვანელი, —ეს ისე ალალად წარმოთქვა გოგონამ, როგორც იტყვიან ხოლმე: „ია მიყვარსო“, „გაზაფხული მიყვარსო“.

იცნობდეთ, პიონერებო: ტანმორჩილი, წაბლისფერთმიანი ქალიშვილი — რაჰიმა ნიგურიანი, ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი. ის ხუთი წელია თქვენს ქუთაისელ მეგობრებში

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

3 · მარტი · 1966

გამოცემის XXXX წელი.



**რაჰიმა ნიგურიანი**

ტრიალებს. ხუთი წელია მათთან ერთად დადის რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებში, ჰიდროელექტროსადგურებზე, ღირსშესანიშნავ ადგილებში, მათთან ერთად ატარებს პიონერულ ზაფხულს, მუშაობს სტენდების გაფორმებაზე, ხვდება ძველ ბოლშევიკებს, ართობს და ასწავლის ოქტომბრელებს, მეცადინეობს და იბრძვის რაზმეულის მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის.

რაჰიმა ნიგურიანი! იქნებ გაოცდეთ კიდეც, როცა გაიგებთ: ეს ნაზი ქალიშვილი სათხილამურო სპორტის ოსტატია! არის დღეები, როცა რაჰიმა ხელმძღვანელი სკოლას ტოვებს და ქუთაისის სტუდენტ ახალგაზრდობას თოვლიან ბაკურიანში მისდევს, მხარზე თხილამურგადებული. მაშინ სტუდენტებიც თქვენსავით თვალში შეჰყურებენ რაჰიმა ხელმძღვანელს და ელოდებიან — რას გვეტყვის ახალს, ისეთს, რომ სათხილამურო სპორტის დაუფლებაში გამოგვადგესო. რაჰიმა წვრთნის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ზოგჯერ, თოვლის სიმძიმისგან გადმოზნექილ ღობეებს შეავლებს ხელს და თვალი უშტერდება: ეს იმას ნიშნავს, რომ თავის ბავშვებზე ფიქრობს, — ქუთაისელ პიონერებზე ფიქრობს, პიონერული ცხოვრების იმ სიახლეზე, რაც გუშინ უბის წიგნაკში ჩაინიშნა.

მერე, ზამთრის მზით გარუჯული უბრუნდება საყვარელ ცხოვრებას, ახმაურებულ სკოლას და წითელყელსახვევიანებს.

რაჰიმა ხელმძღვანელი ჯერ პიონერთა ოთახში შედის. აქ ახალი ამბავი ხვდება: რაზმეულს ცნობილი მეფოლადის — ამირან ფანცულაიას წერილი მიუღია! ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ესტუმრნენ ქუთაისელი პიონერები რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, დაუმეგობრდნენ მეტალურგებს, დაათვალიერეს სასახელო ქარხანა, მიიწვიეს უფროსი მეგობრები ტრადიციულ, ტექნიკურ კონფერენციაზე...

ახლა თამარ მელაძე, ნაზი ბეჭვაია და გურამ მანაგაძე საპასუხო ბარათს ჩაჰკირკიტებენ. ხელმძღვანელმა გადაიკითხა ბარათი და ღიმილმა გაუნათა სახე. აი, ამონაწერი იმ ბარათიდან: „ჩვენ ვამაყობთ აგრეთვე ჩვენი სკოლის აღზრდილის, მსოფლიო ჩემპიონის, „ველოსპორტის ვეფხვი“ რომ უწოდეს, ომარ ფხაკაძის სახელით. ჩვენი რაზმეულის საბჭოს ერთმა წევრმა სრულიად სამართლიანად თქვა: ძია ამირანს ნამდვილად „ფოლადის ვეფხვი“ უნდა ვუწოდოთ. იმრავლოს ჩვენი სკოლის სასახელო „ვეფხვმა მეგობრებმა!...“

შემდეგი წინადადება არც თუ ისე გამართული ეჩვენა ხელმძღვანელს. ამიტომ თვითონაც იღებს კალამს ხელში:

„ძია ამირან. ძალიან, ძალიან გთხოვთ, ჩვენთვისაც გამოძებნოთ ცოტა დრო და კიდევ მოგვწეროთ თქვენს საქმიანობაზე. იცოდეთ, არც ჩვენ გარცხვენთ. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი სკოლა ღირსი იყოს თქვენთან მეგობრობისა“.

შემდეგ კვლავ სტუმრად იწვევენ რუსთაველ მეგობრებს...

და პიონერხელმძღვანელს სჯერა, მაშასადამე, ბავშვებსაც სჯერათ: კვლავ შემოვლენ ამ სკოლაში ცნობილი ადამიანები, კვლავ წაიკითხავენ კედლის გაზეთებს, გადაშლიან ალბომებს, დაათვალიერებენ სტენდებს, მოუსმენენ პატარა მეგობრებს.

ასე მჯერა მეც. და ხვალინდელი სტუმრების თვალით ვუცქერი ქუთაისელი პიონერების მჩქეფარე ცხოვრების ყოველ დეტალს, ვკითხულობ, ვსაუბრობ...

სვანი ქალიშვილი, რაჰიმა ნიგურიანი, თავმდაბალი, სადა და კეთილი ადამიანია, მიუხედავად იმისა, რომ მას თითქმის მთელი ქალაქი იცნობს: იცნობენ ტოლები, რომელთათვისაც რაჰიმა მისაბაძი პიონერხელმძღვანელია, იცნობენ მშობლები, რომლებიც თავიანთი შვილების აღზრდაში სრულ ნდობას უცხადებენ პიონერხელმძღვანელს. ეს ხომ ასეც უნდა იყოს! აი, რაჰიმა ხელმძღვანელმა ითავა ენგურჰესის მშენებლობაზე პიონერების წაყვანა. იქ, ენგურჰესზე, ბევრი ქუთაისელი ახალგაზრდა მუშაობს. პიონერები რაზმეულების ლენინური დათვალიერების იმ დავალების შესრულებას შეუდგნენ, რომელსაც „ლენინის ანდერძის კვალდაკვალ“ ეწოდება, — მიზნად დაისახეს შეისწავლონ ელექტროფიკაციის განვითარება, დიდი ლენინის ანდერძის შესრულება ჩვენს რესპუბლიკაში! ამას წინათ, შაორჰესზე სამდღიანი ლაშქრობა მოაწყვეს და საკუთარი ხელით მოწყობილ სტენდზე: „ჰიდროელექტროსადგურების განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე“, შაორჰესის აღმნიშვნელ წერტილზე წითელი ბაფთა გააკეთეს: „ვნახეთ, შევისწავლეთ.“

ახლა ენგურჰესზე მიდიან. თემაც ასეთია: „ქუთაისის ახალგაზრდობა ენგურჰესის მშენებლობაზე“. რაჰიმა ხელმძღვანელმა ითავა და, სკოლას 2 ავტობუსი მოაყენა. მშობლებიდან თითო-ოროლა თუ გაჰყვა ბავშვებს. მეტი არცაა საჭირო. — მათ ბავშვებთან ხელმძღვანელი ეგულებათ...

ხელმძღვანელი პიონერებთანაც თავმდაბალია და მეგობრული. ჩაჯდება მათ შორის, ამბავს გამოჰკითხავს, რა უჭირთ, რა ულხინთ. მერე თავის ამბავსაც მოჰყვება: ზემო სვანეთიდან დედის წერილი მიიღო დედა თურმე ავადმყოფობს. ძმები

## ჩვენი უფროსი მეგობარი

სწავლობენ. ერთი მესტიის ტურბაზაში მუშაობს... ოჯახს გამრჯე ქალიშვილის ხელი დაჰკლებია. კარტოფილი ამოსაღებია, სიმინდი სარჩევია, საქონელი საღამოობით მინდვრიდან მოსარეკია...

და ბავშვები მეტი პატივისცემით იმსჭვალებიან: მათი ხელმძღვანელი თურმე ასე ეხმარებოდა მშობლებს; ბარიც სჭერია, სახრეც, თივაც დაუზვინია. დიახ, ასეთია მათი ხელმძღვანელი. მერე, შეთქმულებივით ერთდროულად გადახედავენ რომელიღაც კოპწია გოგონას. ვისაც დედის ხელით გაქათქათებულ-დაუთოებული ბაბთები უკეთია. გოგონა წითლდება ამ უხმო საყვედურზე. ხელმძღვანელი იღიმება. იღიმება და სჯერა, რომ ხვალ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე უკლებლივ ყველა გამოცხადდება... ის კოპწია გოგონაც წამოდგება გარიჟრაჟზე და თავად მოიყვანს წესრიგში თავის ტანსაცმელს... აი, ამ რწმენისთვის სცემენ პატივს ხელმძღვანელს, რომელიც არასოდეს ყვირილითა და თითის ქნევით არ მიუთითებს ბავშვებს — „ეს თქვენ უნდა გააკეთოთო".

რომ იტყვიან, „ოქროს ხელიაო",— სწორედ ასეთი ხელი აქვს რაჰიმა ხელმძღვანელს. კერვაც ემარჯვება, ქსოვაც და, რაც მთავარია, ფანტაზიის დიდი უნარი აქვს. ფანტაზია ხომ ასე საჭიროა პიონერული რომანტიზმისათვის. მაგალითი გნებავთ? ინებეთ:

თქვენ ხომ ყოველი წლის 19 მაისს თქვენი პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს აღნიშნავთ. არ არის რაზმეული, რომელიც არ ცდილობდეს, რაღაც განსაკუთრებულად იზეიმოს ეს დღე. მაგრამ, ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის პიონერებს მტკიცედ სჯერათ —ყველაზე უკეთ სწორედ მათ იზეიმეს 19 მაისი...

...შეკრება ქალაქის აყვავილებულ ბაღში, დიდი ლენინის ძეგლთან ჩატარდა. მოვიდნენ ძველი ბოლშევიკები: დომენტი აბაშიძე, საშა იოსელიანი, ბარნაბ ეძგვერაძე. ნორჩებს ესტუმრნენ ლენინის ორდენოსანი პედაგოგები: მიხეილ ვარდანაშვილი და შუშანა ხელაძე. ისინი პატარებს მოუყვნენ, თუ რა ქარიშხლიანი დღეები გამოიარეს, რათა აქ, ამ ბაღში, ბედნიერი ბავშვები ეხილათ... ბევრი რამ ითქვა, ძველიც, ახალიც. იმხიარულეს, იცეკვეს, იმღერეს... საღამოს ბინდი შეეპარა სავარდო და სამაისო ქალაქს. ვარდებს უფრო საამო სურნელი ასდიოდა, მაისის ცამ უფრო მეტი ვარსკვლავებით დახედა ქუთაისს. და უცებ... თითქოს ერთი დიდი ხანძარი ავარდაო, ბრიალა შუქმა გაანათა მხიარული სახეები. ეს— ჩირაღდნები გახლდათ, რომლებიც ერთდროულად აანთო ყველა პიონერმა. ამ ჩირაღდნებით დაბრუნდნენ პიონერები საყვარელ სკოლაში. ქუთაისის ქუჩებს ახსოვთ ის მშვენიერი ღამე, —აჩირაღდნებული, აბრდღვიალებული. როგორ უხდებოდა იგი მაისს, ბავშვთა საერთო ზეიმს. განა არ არის ამაში თავისებური რომანტიზმი? რაჰიმა ხელმძღვანელს მივუზღოთ თავისი წილი: შევაქოთ, ასე რომ გაალამაზა ორიგინალური ჩანაფიქრით პიონერული ზეიმი. ეს მან მოიგონა — კონსერვის ცარიელი კოლოფებისა და მშრალი სპირტისაგან დაემზადებიათ ჩირაღდნები, რომელთაც დანიშნულ ვადაზე, ერთდროულად აანთებდნენ. აი, კიდევ ამისთვის უყვართ პიონერებს თავიანთი ხელმძღვანელი!

გახსოვთ, პოეტ ჯანსულ ჩარკვიანის მშვენიერი ლექსი: „მანუნტა"? ეს ხომ ამბავია პატარა ფრანგი ბიჭისა, რომელსაც თვალწინ დაუხვრიტეს მამა. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა, მაგრამ მანუნტა კვლავ ხატავს საზიზღარ ჯალათს, საშინელ ეპიზოდს.. ქუთაისელი პიონერები პირველი მსმენელნი იყვნენ ამ ლექსისა. პოეტი „მშვიდობის ფესტივალზე" ესტუმრა რაზმეულს, და კინომსახიობებთან — დოდო აბაშიძესა და გიული ჭოხონელიძესთან, პოეტ დავით კვიცარიძესა და გიორგი სამხარაძესთან ერთად მოუთხრო პატარა მეგობრებს, როგორ იღწვის საბჭოთა ხელოვნება, საბჭოთა მწერლობა მშვიდობისათვის... ეს ფესტივალიც პიონერხელმძღვანელის ინიციატივით მოეწყო. მოდი და, მადლობას ნუ ეტყვი!

მოდი და, ნუ ეტყვი მადლობას, როცა პიონერხელმძღვანელი კუთვნილ შვებულებას გვიან აიღებს, რათა ზაფხულის მიწურული სკოლაში გაატაროს. გული მაღალი სვანეთისაკენ მიუწევდა, მაგრამ მაინც ბავშვებთან დარჩა. თვითონაც ბავშვივით ხარობდა, როცა ხარაჩოშემოხსნილი სკოლის ახალ შენობას ხედავდა. ფართო, ნათელი საკლასო ოთახები, დერეფნები, ახალი სამასწავლებლო, პიონერთა ახალი ოთახი! მშენებლობა დამთავრდა, საცაა სექტემბრის ზარიც ჩამოჰკრავდა. მაგრამ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. უკანასკნელი შტრიხი შეღებილ კედლებზე, ნარჩენების გატანა, ეზოს მოსუფთავება. რაჰიმა ხელმძღვანელმა აქაც მაგალითი მისცა თავის პიონერებს!..

კიდევ ბევრი რამის მოყოლა შეიძლება: შეიძლება ბევრი რამ ითქვას ტექნიკური კონფერენციების შესახებ, რომელიც ყოველწელს ტრადიციულად ტარდება სკოლაში. ამ კონფერენციებზე პედაგოგების მარჯვენა ხელი კვლავ უფროსი პიონერხელმძღვანელია. ეს კონფერენციები ეძღვნება მშობლიური ქალაქისა და რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა ისტორიისა და პროცესების შესწავლას, მათ მოწინავე ადამიანებთან დაახლოებას. დღემდე 12 ასეთი საწარმო შეისწავლეს პიონერებმა — ქუთაისის საავტომობილო ქარხნიდან დაწყებული წინანდლისა და ველისციხის ღვინის ქარხნებით დამთავრებული. და ყველგან, დაინტერესებულ პიონერებთან იდგა მათი უფროსი მეგობარი —პიონერხელმძღვანელი!

კიდევ ერთი რამ, ძალიან მნიშვნელოვანი: ერთი წამითაც არ იფიქროთ, რომ პიონერხელმძღვანელი ნიგურიანი რაღაც არაჩვეულებრივი და ყოვლისშემძლე ადამიანია. იგი ჩვეულებრივია, ბევრია მისი მსგავსი ჩვენს ქვეყანაში, ბევრია და, ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის პიონერებს ბედმა გაუღიმათ, რომ ამ ბევრთაგან ერთ-ერთი შესანიშნავი, მათი წინამძღოლი და მეგობარია.

**ნაზი კილასონია.**



ვალერიან ჩეკურიშვილი

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

ბიჭები ორის ნახევარზე ისევ ცაცხვთან შეხვდნენ ერთმანეთს. უკვე საკმაოდ ცხელოდა. ახლა უფრო ეტყობოდათ ღელვა. მარტო გოგი იყო მშვიდად.

— აბა, ბიჭებო, ნუღარ აგვიანებთ, ჯობია ადრე ჩასაფრდეთ.

ზანტად მიდიოდნენ.

— მგონი გეშინიათ, სიარულზე გეტყობათ, — მიაძახა გოგიმ.

— არაფრისაც არ გვეშინია! — უცებ აუჩქარეს ნაბიჯს.

— გოგი, შენ მამაშენის ჯაბახანას მიხედე, ღმერთი არ გაგიწყრეს, ძრავა ცუდ დროს არ ჩაგიქრეს, თორემ...

— რა უნდა ჩამიქრეს, რას ლაპარაკობთ! -- მამაჩემის ტრაქტორს თქვენ მასწავლით?

ლაშა და ბიძინა ორღობეში თვალს რომ მიეფარნენ, გოგი კოლმეურნეობის სამჭედლოსკენ გაემართა.

სამჭედლოს ეზოში, სადაც ურმის თვლები, გალეული ღერძები, ძველი ჟანგიანი გუთნები და კიდევ ათასი რამ ეყარა, სანახშირე ორმოსთან ხუთი-ექვსი წლის ბავშვები თამაშობდნენ. ორმოში ხტებოდნენ და მერე ძლივს ამოდიოდნენ. ტანსაცმელიც ნახშირით ჰქონდათ დასვრილი და ცხვირ-პირიც.

„ეშმაკებს არ დამსგავსებიან!" — გაეღიმა გოგის და ფარდულში შევიდა. მამის ტრაქტორს გარშემო შემოუარა, კაბინაში ავიდა, ერთხელ კიდევ შეამოწმა — მზად იყო თუ არა ასამუშავებლად. მერე ჩამოხტა, პატარა ძრავის მორგვზე დახვეულ თამასას ხელი მაგრად ჩაჰკიდა და, რაც ძალა ჰქონდა, გამოჰკრა. ძრავა ახრუტუნდა და გაჩუმდა.

— აბა, ეგეთები არ იყოს! — ჩაილაპარაკა. ბენზინი შეაწოვინა, მერე ისევ მორგვზე დაახვია თამასა, ისევ გამოჰკრა და ძრავა ჩაირთო. კაბინაში ახტა, გაზის პედალს ფეხი დააჭირა, პატარა ძრავა გაახურა, გააძლიერა და მერე ნელ-ნელა მთავარზე გადართო. პირველად ისიც ხროტინებდა, ბოლოს აგუგუნდა და იქაურობა გააყრუა.

გამურულმა ბავშვებმა ნახშირის ორმოს თავი ანებეს და ტრაქტორს შემოეხვივნენ. გოგის რაღაცას ეძახდნენ, ეხვეწებოდნენ. მათი ხმა გუგუნში იკარგებოდა, მაგრამ ბიჭი გუმანით გრძნობდა, რასაც სთხოვდნენ პატარები.

საათს დახედა. სამის ნახევარი იყო. „ახლა ხმას უნდა მოვუმატო", — გაიფიქრა, კაბინიდან გადმოხტა, ბავშვები ასვა, მერე თვითონაც ახტა. — ხელები მაგრად ჩაკიდეთ, არ გადმოცვივდეთო, — ხმამაღლა გააფრთხილა, ტრაქტორი დაძრა და ფარდულიდან ეზოში გამოიყვანა.

ეზო დიდი იყო, ტრაქტორის მუხლუხებით მოჭრელებული. სიხარულით ცას სწვდებოდნენ პატარები.

გოგი წარამარა დაჰყურებდა საათს. სამი რომ შესრულდა, გაიფიქრა:

„ახლა უკვე მოსულები იქნებიან. ბიჭები ალბათ საქმიანობენ..." პედალს ფეხი უფრო დააჭირა და ტრაქტორმა თუხთუხს უმატა.

„ჰმ, წიოკაშვილი სოფელში ისე დადის, თითქოს ანგელოზი იყოს, თითქოს მაგაზე ალალი და პატიოსანი კაცი მეორე არ მოიძებნებოდეს. თურმე ნუ იტყვი და... ნეტა ისინი ვინღა არიან — წვერწითელი და ჩექმებიანი.

— გეძახის! — გვერდით მჯდარმა გამურულმა ბიჭუნამ გამოარკვია ფიქრებიდან.

— ვინ მეძახის?

— აგერ!

სამჭედლოს წინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იდგა და ჭილობის ქუდით ოფლიან სახეს ინიავებდა. გოგიმ რომ მოიხედა, თავმჯდომარემ თითი დაუქნია, აქ მოდიო. ამრეზილი იდგა, ეტყობოდა გაჯავრებული იყო.

„ე რა კარგი გასართობი გინახიაო, —მეტყვის ახლა. მაინც არ გავაჩერებ, რაც არ უნდა მითხრას", — გაიფიქრა. ტრაქტორი ძია მიტოს მიუახლოვა, ბალღები ძირს ჩამოსვა, გაზი ნორმაზე დააყენა, მერე ჩამოხტა და თავმჯდომარესთან მივიდა.

— ვისია ეგ ტრაქტორი? — ჰკითხა წარბშეკრულმა მიტომ.

— მამაჩემის.

— მამაშენის არა, იმისი.. რად დაქოქე?

— ძია მიტო...

— ძია მიტოს მოგცემ მე შენ! შეიყვანე ახლავე ფარდულში და აქედან მოუსვი, თორემ...

— ძია მიტო, იცი...

— მართლა მამაშენისა ხომ არ გგონია?..

— ძია მიტო, ტრაქტო...

— არც გრცხვენია, ამხელა ბიჭი თითისტოლა ბალღებთან რომ თამაშობ. რას მომშტერებიხარ? მიდი, ტრაქტორი ახლავე თავის ადგილას მიაყენე.

თავმჯდომარე ისე იყო გაჯავრებული, აღარაფერი ესმოდა, სიტყვის თქმას არ აცლიდა ბიჭს. გოგი მიხვდა, რომ ვერაფერს გააგებინებდა და გაცლა ამჯობინა.

„რამდენიც გინდა იყვირე, მაინც არ გავაჩერებ, ბიჭებს არ დავღუპავ. შენ იცი თუ არა, იმ მგლებმა რომ გაიგონ — ბიჭები სურათს გვიღებენო, ცოცხალს არ გაუშვებენ..."

ტრაქტორის კაბინაში ახტა და ძრავა საშინელი ხმით აღმუვლა.

— რაღას უყურებ? — ისევ შეუტია თავმჯდომარემ.

გოგიმ საათს დახედა.

დასასრული. იხ. „პიონერი" № 1, 2.

,,ჯერ ოთხიც არ არის. ახლა ქურდები შუა საუბარში იქნებიან, ბიჭები — შუა საქმიანობაში. გავაჩერო არა, ისა...“

ტრაქტორი დაძრა, ნელ-ნელა შეატრიალა. ბიჭი გრძნობდა, რომ თავმჯდომარე ბრაზობდა, — სად მიდისო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

შორიდან მოუარა. იქ ცოტა ხანს შეაჩერა, ვითომ რაღაცა გაუფუჭდა, ჩხიკინი დაუწყო. მოტორი კი გუგუნებდა.

ძია მიტო მოთმინებიდან გამოვიდა და ტრაქტორისკენ გაემართა.

,,რა უნდა, რას ჩამაცივდა, თავის გზით ვერ წავა?“,—გაიფიქრა ბიჭმა და მამის ჯაბახანა ისევ დაძრა. ფარდულისკენ აიღო გეზი. ატარა, ატარა და სადგომს გვერდელად მიაყენა. ასე ხომ არ შეიძლებოდა დაყენება, მიზეზი ,,იშოვა“ და ისევ უკან დასწია, მერე — ისევ წინ, მერე ისევ უკან, ახლა — მარჯვნივ, ახლა — მარცხნივ.

— ბალღო, ტრაქტორს ფარდული არ გაანგრევინო, თორემ მამაშენს ავაშენებინებ, იცოდე.

,,ნეტა ახლა ის გამაგებინა, პანტასთან რა ამბავია, და შენ რაც გინდა ის გააკეთე“.

მესამედ უკვე სწორად მიაყენა ტრაქტორი.

— ჩააქრე და ჩამოდი! — უბრძანა თავმჯდომარემ.

— ძია მიტო, შეცდომა დავუშვი, — გადმოსძახა.

— რა გაუშვი?

— არაფერი. ტრაქტორი უკანსვლით უნდა შემომეყვანა, სხვები როგორც დგას, ესეც ხომ ისე უნდა გავაჩერო.

— მოეშვი, იყოს ასე. იმისიც მადლობელი ვარ, რომ ფარდული არ დაანგრიე.



— ნუ გეშინია, ძია მიტო! განა მართლა ეგრეა საქმე!

გოგიმ ახლა უფრო შორს წაიყვანა ტრაქტორი, შუა ეზოში ზანტად შემოატრიალა და ნელ-ნელა დახია უკან.

ძია მიტო ისე აღარ ცხარობდა. სიბრაზეს ნაწილობრივ გაევლო. ფარდულის ჩრდილში იდგა და ცხვირსახოცს ისვამდა მელოტ თავზე.

ბიჭმა ისევ დახედა საათს.

,,რა ნელა გადის დრო. ახლა დაიწყო ხუთი...“

ჯაბახანა ნელ-ნელა შეგორდა თავის სადგომში.

,,ახლა რაღა მოვიგონო, — ფიქრობდა ბიჭი. — არაფერი. ვიჯდები ასე და არ ჩამოვალ, სანამდისაც შევძლებ“.

გაზის პედალს ფეხი მიაჭირა და ძრავამ ღმუილს უმატა. გამურული მილი ჰაერში კვამლის ბოლქვებს ჰყრიდა, მილზე ჩამოცმული, ზეთით გაზუნზნული ვედრო შეცივებულივით ძიგძიგებდა. მერე გოგი კაბინიდან ჩამოხტა.

— რატომ არ ჩააქრე? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— იმუშაოს ცოტახანს, ძია მიტო, ასეა საჭირო!

— როგორ თუ იმუშაოს? აბა ეგ საწვავი მამაშენის ფულით იყოს ნაყიდი, მაგას თუ იტყოდი.

— ძია მიტო, დილას ათი ლიტრი ნავთი ვიყიდე და ბაკში ჩავასხი.

— სულერთია! რას მეკამათები, ბიჭო, შენი ტოლი ხომ არა ვარ! დამაცადე, მამაშენს ვეტყვი და ის მოგივლის, როგორც გეკადრება, — მუქარით თქვა და ტრაქტორზე აბობღდა.

,,მართლა რომ გააჩეროს, ხომ შეიძლება ქურდებმა ლაშა და ბიძინა შეამჩნიონ, — გაუელვა თავში და ბიჭს შიშისაგან თვალები გაუფართოვდა, ტრაქტორს მეორე მხრიდან შემოურბინა და ისიც ავარდა კაბინაში.

— ძია მიტო, გეხვეწები, ძია მიტო, შენი ჭირიმე.. — ბიჭი მზად იყო თავმჯდომარისათვის მუხლები დაეკოცნა, ოღონდ ნახევარი საათი კიდევ ემუშავნა ტრაქტორს... მაგრამ, ჰოი საკვირველება! თურმე ძია მიტოს არ სცოდნია ძრავის გამორთვა: ხან საჭეს უჩხიკინებდა, ხან — სიჩქარის ბერკეტს. ერთი-ორჯერ გაზის პედალსაც მიაჭირა ფეხი და ძრავამ უფრო უმატა თუხთუხს; წვალობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მერე ისევ ბიჭს უყვირა:

— ჩააქრე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ!

— ძია მიტო, არც მე ვიცი, როგორ ჩავაქრო, თორემ აქამდეც ჩავაქრობდი. ცოტა საწვავიღა დარჩა, იმუშაოს, ისიც დაიწვება და მერე გაჩერდება, აბა რას იზამს!

ძია მიტომ ხელი ჩაიქნია, კაბინიდან ნელ-ნელა ჩამობობღდა და აჩქარებული ნაბიჯებით გაშორდა სამჭედლოს.

ბიჭები მშვიდობით შეხვდნენ ერთმანეთს. განსაცდელ გადატანილი ლაშა და ბიძინა ახლა უკვე მხიარულ ხასიათზე იყვნენ. —ჩვენ ჩვენი საქმე ბრწყინვალედ გავაკეთეთო, — ლაპარაკობდნენ გახა-

(გაგრძელება იხ. მე-[illegible] გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხეობა

მარიკა ბარათაშვილი

შვილი:

მე გზა მინდოდა, გზას ვეძებდი,
ღამეს ვათევდი,
ამოვდიოდი, რომ მეპოვა
გადასახედი...
აჰა, ამოველ, წინ კვლავ მთაა,
რა მეშველება!—
მთაზე შენ დგეხარ, გაგიშლია
ტოტნი—ვეება...
რა ტოტებია!—არც ზურმუხტნი,
არც ლალებია!
გაქვავებულან—ალბათ არვინ
არ ჰყვარებიათ.
— მე, მე გიყვარდი?—მაშინ მთებსაც
გადაბარავდი,
მიხთატეხისგან, ნისლებისგან
ქამიფარავდი,
ამიტაცებდი, რომ მეხილა
დიდი ქვეყანა,
ჩემი ფოთლები ქარის ფრთებზე
გადამეყარა...
რომ გყვარებოდი...

დედა:

კმარა, ფესვები დამისველა
შენმა ცრემლებმა!
ფესვს ჩაეჭიდე! ის ამ გზებზე
შეგეშველება;
მუხლს გაგიმაგრებს—მე სხვა შველას
ვერ დაგპირდები.
აპრილს ელოდე, რომ შემოგხსნას
ტანზე კვირტები.
მიწას შეები, ამოზიდე
წყალი პეშვებით,
ქარსაც შეები,—თუ მოგეჭრას,
ნუ მოეშვები!
...ასე დამტოვა ქარიშხალმა
დიდთა ვნებათა.
სიყვარულს მივეც სამკაული
რაც რამ მებადა.
ჩრდილს რომ გავშლიდი,—მასაც
ჩემთვის
ვერ ვიტოვებდი,
ქვეყნისთვის მსურდა, რასაც ჩემთვის
მოვიპოვებდი.
და თუ აქ ვდგევარ, ქარით
სამოსშემოხეული,
ვდგევარ, რომ ჩვილნი დაგიფაროთ
ჩემი სხეულით.
თუ ამ ტოტებსაც კანი შავად
შემოსკდომიათ,
ხომ ჰყვარებიათ, ხომ ცოცხლობდნენ,
ხომ უბრძოლნიათ!..
...შენც თუ აქ დადგე, ეს იცოდე:
მიტომ ახველი,
ქარიშხლებისგან დაიფარო
გადასახედი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

•

ყვავილთა ფიფქი დაფარფატებს
ამ ხეივანში.
პქრის. ატმის რტოზე ზის ნარჩიტა
და რტო ქანაობს.
ნაზი აპრილის უფაქიზეს
ფერებს რა წაშლის?!.
ვით გემი ზღვაში, მეც ატმების
ზღვაში ვნანაობ.
ალისფერ ყვავილს შესამკობად
თმაში ჩავიბნევ...
ვხედავ: მჩქეფარე წყაროშიაც
მზეა ჩაწნული;
მზით, სილამაზით აფეთქებულ
კორდზე ავირბენ;
ახალ სიცოცხლით, აღტაცებით
ცად ვარ ასული.

•

ტინებს მკერდზე
მიესვენა სხივი,
ტყისპირ წყარო
აწკრიალდა ჩანგად,
გაზაფხული
საამურად შხივის,
რა ხანია
ხეში წყალი ჩადგა.

ჩუ, ჩურჩულით
ბაგეს აღებს კვირტი,
ტყე ვარდისფრად
და მარჯნისფრად
ჰყვავის,
ცას აპკვრია
ულურჯესი ზვირთი,
ოქროს დალალს
მთა უვარცხნის აისს.

ვენერა ნაჭროშვილი.

მხატვარი ვაჟა მელიქიშვილი.

# მის გასართობად

ზღვა არის დიდი, დიდი და ვრცელი,
ვრცელი და დიდი,
შიგ კი პაწია—
ნამსგავსი ცრემლის—
ზის მარგალიტი;
გარემოცული მარტოდენ მღელვარ,
უსაზღვრო სივრცით,
თეთრ ნიჟარაში ის ისმენს მხოლოდ
ზღვის მაღალ სიცილს...
და ხედავს გემებს—
დიდებს, პატარებს,
მაღლებს, მომცროებს,
ვით ათამაშებს ნაფოტებივით
ზღვა თავმომწონე,—
მის გასართობად.

# ზამთრის პოემა

დგას თეთრი პალმა,—უმაღლესი და საკვირველი,
როგორც ზღაპარი—იგი უფრო მშვენდება ღამით,
თოვლით და მთვარით აენთება მისი გვირგვინი,
თოვლით და მთვარით.
ზედ ციხისძირთან სათათბიროდ შეყრილან სამნი:
თოვლი...
მთოვარე...
იქვე პალმა,
ღია საკინძით;
ჩემი სარკმლის წინ ამ პოემას წერს ზამთრის ღამე,
ჩემი სარკმლის წინ.

ეთერ სახვაძე.

რებულები. მერე დაწვრილებით უამბეს გოგის, როგორი შეხვედრა გადაიღეს ფირზე. სამაგიეროდ, გოგის არ უთქვამს ბიჭებისთვის — თავმჯდომარეს როგორ გაუშრო სისხლი. იმის შიშმა, რომ ამხანაგები არ დაელუპა, რაღა არ აკადრებინა! რა უზრდელად მოექცა ამხელა კაცს! წუხდა, მაგრამ რა ექნა, სხვა ვერაფერი მოიფიქრა.

გადაღებით კი გადაიღეს, ხმაც ჩაიწერეს, მაგრამ ამას ყველაფერს წესრიგში უნდოდა მოყვანა:: ფირი უნდა გაემჟღავნებიათ, დაემონტაჟებიათ და გაეხმოვანებიათ. დრო კი ცოტა იყო— მხოლოდ ორი დღე.

— რა ვქნათ? — იკითხა ბიძინამ.

გოგიც ლაშას უყურებდა. ლაშას მეტს არავის შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

— ერთი გზა არსებობს მხოლოდ! — თქვა ლაშამ,—მამაჩემს უნდა ვუამბო ეს ყველაფერი და ვთხოვო — თბილისში გამიშვას. იქ კი ყველაფერი მოგვარდება.

გაპარვა, რა თქმა უნდა, აღარ შეიძლებოდა. ამიტომ საღამოს-—სამუშაოდან მოსულ მამას ლაშამ თავისი ამხანაგები დაახვედრა სახლში. ივახშმეს და მერე ბიჭმა მამას ყურში უჩურჩულა, — საიდუმლო ამბავი უნდა გაგიმხილოთო.



მეორე ოთახში ჩაიკეტნენ და ბიჭებმა ყველაფერი უამბეს ინჟინერს. — ამას რას მეუბნებიანო, —ყურებს არ უჯერებდა, გაოცებული თვალებით შეჰყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს...

— იცი რა გვინდა, მამა?

— რა გინდათ?

— ფირის გამჟღავნება, დამონტაჟება, გახმოვანება.

— კი მაგრამ, რომ შეემჩნიეთ, მერე რას ფიქრობდით?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და გაეღიმათ.

— თქვენ იცინით და, იცით რა უბედურება შეიძლებოდა დატრიალებულიყო?!

— ???

— ჰო, ფირს გამჟღავნება, დამონტაჟება და გახმოვანება უნდა. მერე, მე რით დაგეხმაროთ?

— მამილო, აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლება. თბილისში უნდა გამიშვა. იქ ჩვენს კინომოყვარულთა წრის ხელმძღვანელს, კაკო მასწავლებელს ვნახავ, კინოსტუდიაში მუშაობს და ის ყველაფერში დამეხმარება.

— კვირამდე უნდა მოესწროს! — დაამატა ბიძინამ.

— ისინი კვირას აპირებენ ხიწვაშვილების გაქურდვას?— იკითხა ლაშას მამამ.

— დიახ, კვირას!

ბიჭები პასუხის მოლოდინში გაირინდნენ.

ინჟინერი ჩაფიქრდა, თან გაუპარსავ წვერზე ისვამდა ხელს.

— სამმართველოში კი მაქვს საქმე, მაგრამ ორშაბათს სხვის გაგზავნას ვაპირებდი... კარგი, მაშინ ჩაირბინეთ, შოფერს უთხარით, მანქანა გაამზადოს და დილით ხუთ საათზე მოვიდეს. უთხარი, — მამა თბილისში მიდის-თქო, — გესმის, ლაშა?

— მესმის! — წამოხტა გახარებული ბიჭი, — ბიძინა და გოგიც უნდა წამოვიდნენ!

— კი, ბატონო, ოღონდ — მშობლების ნებართვით.

ბიჭები შოფერთან გაიქცნენ.

გარეთ უკვე ბნელოდა და ალაზნის გაღმა, ღვიმიის თავზე, სავსე მთვარე აპირებდა ამონათებას.

●

მესამე დღეს გობეჯიშვილის ვილისი მილიციის შენობის წინ გაჩერდა. მანქანიდან გადმოვიდნენ ინჟინერი, ლაშა, ბიძინა და გოგი.

უფროსმა კაბინეტში შემოსულთ გაოცებული მზერა მიაპყრო და მობრძანდითო, როგორღაც ორჭოფულად უთხრა.

— გვიცანით? — ჰკითხა ლაშამ.

— ჰო, ახლა კი — გიცანით! შენ ლაშა გქვია, იმას — გოგი, ამას...

— მე ბიძინა!

—ეს კი, — მამაჩემია! — გააცნო ლაშამ.

— კეთილი! — თქვა უფროსმა და ხელი გაუწოდა.

— იცით, რისთვის შეგაწუხეთ, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ლაშას მამა, — ამ ყმაწვილებს ხუთი დღის წინ თქვენთვის პირობა მოუციათ, — ჩვენს გადაღებულ ფილმს პირველად თქვენ გაჩვენებთო.

— კი, მახსოვს!

— ჰოდა, აი მოვიდნენ. დიდი უბედურება კი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ პირობის შესრულებას, მაგრამ... მადლობა ღმერთს, გადარჩნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას გადარჩნენ? — დაინტერესდა უფროსი.
— სიკვდილს.
— არ მესმის!
— აი, ნახავთ რა გადაუღიათ და მიხვდებით, როგორ ახლოს ჩაუქროლეს უბედურებას. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი საქმე გააკეთეს, მაგრამ...
— იცით, თუ თქვენ არ გამარკვიეთ, მე ვერ მივხვდი, რაზეა ლაპარაკი, — თქვა უფროსმა.
— მე მგონია, თქმას ნახვა ჯობია! — გაიღიმა ლაშამ, — აქ ხომ არის კინოთეატრი?
— კი, არის.
— ძალიან გთხოვთ, იქ წავიდეთ. საპროექციო აპარატი ცოტახნით დაგვითმონ და ეკრანზე გაჩვენებთ ყველაფერს. ოღონდ, მილიციელების გარდა სხვა არავინ არ უნდა დაესწროს.
— რატომ?
— საიდუმლოა, — სერიოზულად თქვა ლაშამ.
— პატივცემულო, იცით ვინ წამოიყვანეთ? — თხოვა გოგიმ, — აი, ის მილიციელი, მაშინ აქ რომ მოგვიყვანა.
— რატომ მაინცდამაინც ის?
— იმიტომ, რომ ცუდი ბიჭები ვეგონეთ. ახლა ნახოს, რისთვის გვჭირდებოდა კინოაპარატი.
უფროსმა ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მორიგემ კარი შემოაღო.
— ქოზაევი აქ არის?
— დღეს ისვენებს.
— სახლში იქნება, მანქანა გაუგზავნეთ, ამოვიდეს.
უფროსმა ყურმილი აიღო და კინოთეატრის დირექტორს დაურეკა.
— ორი საათიდან იწყება სეანსებიო, მანამდე მოვასწრებთ? — ჰკითხა ბიჭებს.
— როგორ არა, ნახევარი საათიც გვეყოფა!
—თქვენთან საქმე გვაქვს, მანდ მოიცადეთ და მოვალთ!— უთხრა დირექტორს მილიციის უფროსმა და ყურმილი დაკიდა.
მალე ქოზაევიც მოვიდა.
— ამ ბიჭებს იცნობ? — ჰკითხა უფროსმა.
— როგორ არ ვიცნობ.
— კინოს გაჩვენებთო, რომ შეგვპირდნენ, გახსოვს?
— როგორ არ მახსოვს.
— ჰოდა, აი მოვიდნენ. ამბობენ — ძალიან საინტერესო და საიდუმლოაო.
ქოზაევს აბა რა უნდა ეთქვა, გაიცინა და ისიც დანარჩენებს გაყვა.

— კინომექანიკოსები ჯერ არ მოსულან, — მოიბოდიშა დირექტორმა.
— არც გვინდა. მე აქ არა ვარ! მთავარია, საპროექციო აპარატი იყოს, — თქვა ლაშამ.
მილიციის უფროსმა დირექტორს შეხედა, — რას იტყვითო.
— აპარატები წესრიგშია.
— მაშინ, ბოდიშს მოგიხდით, შალვა, კარი გარედან ჩაკეტე და არავინ შემოუშვა.
— რისი ბოდიში, ბატონო, — თქვა დირექტორმა და კარი გაიხურა.
ლაშა ჯიხურში ავიდა, ფირი აპარატში ჩადო, გაასწორა, ხმა შეამოწმა და სინათლე გამორთო.
ეკრანზე გამოჩნდა წარწერა:
პანტის საიდუმლოება



მერე წარწერა გაქრა და გამოჩნდა უმწიფარი ნაყოფით ტოტებდახვინული ხე. მის გარშემო ზღვასავით ღელავს ტაროდაყრილი სიმინდის ყანა.
არავითარი მუსიკა.
*ექოს მსგავსი ხმა:* — მე პანტის ხე ვარ. მარტოხე, უტყვი, უენო. ამ ქვეყნად იმისათვის ვარსებობ, რომ მაშვრალი კაცი ჩრდილში შევიფარო. მე მიყვარს, როდესაც შრომით დაღლილი ადამიანები ჩემს ჩრდილში სუფრას გაშლიან და დასაყოლებლად მოტანილი ღვინით დედამიწის ბარაქას დალოცავენ.
მე მიყვარს, როდესაც ადამიანები თოხნიან, მკიან და ჰოპუნას აგუგუნებენ. მე მაშინ სიხარულით ვშრიალებ. მაგრამ... რაც ეს სიმინდის ყანა ატყევდა, ისეთ ამბებს ვუყურებ, გული მიკვდება. მეშინია და ვკანკალებ, ვიტანჯები და ვერავისთვის მითქვამს...
ვინ იცის სანამდე გაგრძელდებოდა ჩემი ტანჯვა, კეთილი უჩინმაჩინები რომ არ გამოჩენილიყვნენ. მე ისინი ტოტებში შევიფარე. მათ ფირზე აღბეჭდეს ყოველივე და ახლა შეგიძლიათ თქვენც ნახოთ.
*პირველი უჩინმაჩინი:* — დღეს ხუთშაბათია, ცხრამეტი აგვისტო. სამს აკლია თხუთმეტი წუთი. სამ საათზე ამ პანტის ქვეშ ერთმანეთს საიდუმლოდ შეხვდებიან წვერწითელი, ჩექმებიანი და მიწაჭამია. ჩვენ უჩინმაჩინები ვართ, რა თქმა უნდა, ვერავინ გვხედავს, ტოტებზე ვსხედვართ და ველოდებით.
ეკრანზე მოჩანს ყანის ზღვა. იგი მშვიდია, არ ღელავს და არ შრიალებს. შემდეგ შორს, ყანაში გამოჩნდება ორი კაცი. მათ მხოლოდ თავები უჩანთ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მართლა ზღვაში მოცურავდნენ.
*მეორე უჩინმაჩინი:* — აგერ, ორი უკვე მოდის. ისინი ყოველთვის ამ გზით მოდიან. მათი არც ნამდვილი გვარები ვიცით, არც სახელები. ვიცით, რომ ზედმეტ სახელად დაბალს ჩექმებიანი ჰქვია (ალბათ იმიტომ, რომ პაპანაქება ზაფხულშიც ჩექმებით დადის). მეორე მაღალია, ბოროტ თვალებს მგელივით აბრიალებს, წითელი წვერი ყოველთვის გაუპარსავი აქვს და სახელადაც წვერწითელი ჰქვია.
შორს მოჩანს სოფელი, სოფლის აქეთ — ისევ სიმინდის ყანა, ყანაში — მოძრავი შავი თუშური ქუდი.
*პირველი უჩინმაჩინი:* — ეს კაცი კი, აგერ იმ სოფელში ცხოვრობს. ხალხში ისე უჭირავს თავი, თითქოს ამ ქვეყნად მაგაზე პატიოსანი ადამიანი მეორე არ დადიოდეს. გვარი— წიოკაშვილი, სახელი — ზაქრო, ზედმეტი სახელი — მიწაჭამია.

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ეს ცხვარივით კაცი მონაწილეა იმ გაქურდვებისა, რომელიც დიდი ხანია ახლომახლო სოფლებში ხდება. მონაწილე კი არა, თურმე გზის მაჩვენებელიც ყოფილა. მეზობელთან რომ მივა, თურმე ცალი თვალით იმას ზვერავს, რისი მოპარვა შეიძლებაო.

ასე დაადგა მან თავისი ბოროტი თვალი ვანო ხიწვაშვილის ქედილებს...

გასულ ხუთშაბათს ამავე პანტის ქვეშ წვერწითელსა და ჩექმებიანს გააცნო თავისი იდეა: ვანოს ქალაქში გავიტყუებ, საზამთროს წავიღებთ გასაყიდად, თქვენ კი მისი სახლი გაქურდეთო. მეზობლობაც ასეთი უნდა!

გაქურდვა უნდა მოხდეს კვირას, ოცდაორ აგვისტოს. დღეს კი ცხრამეტია. დღეს მიწაჭამიამ ზუსტი და საბოლოო ცნობები უნდა მოუტანოს წვერწითელსა და ჩექმებიანს. მელიასავით იმიტომ მოიპარება პანტისკენ.

აი, პანტის ქვეშ ერთმანეთს ხვდებიან მიწაჭამია, აყლაყუდა წვერწითელი და დაბალი ჩექმებიანი.

შორიდან ისმის ტრაქტორის გუგუნი.

წიოკაშვილი გატენილ ბადურას პანტის ტოტზე ჰკიდებს და სამივენი ჩრდილში, მწვანეზე სხდებიან.

— როგორ არის საქმე, მიწაჭამია? — ეკითხება წვერწითელი.

— ძალიან კარგად. მე და ხიწვაშვილი შაბათ დილით თბილისში მივდივართ. მოგებაზე მიმყავს! — უშნოდ იჭყანება. ნასიამოვნები ახმახი იღიმება და წითელ წვერს ნიკაპზე ისრესს.

— აჰა, ესეც გასაღები! — ჯიბიდან იღებს და აყლაყუდას აძლევს, — ახლა თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ. ესეც კამეჩის რქა. შხამი კარაქში კარგად აზილეთ და ისე ჩადევით, სულ აზილეთ, უფრო მალე გაჭიმავს ფეხებს.

— ყოჩაღ, მიწაჭამია, — ეუბნება ნასიამოვნები წვერწითელი, — სამაგიეროდ, ჩვენი მხრიდანაც კარგად არის საქმე. მაღაზიიდან გატანილი საქონელი უკვე გაიყიდა. აი, შენი წილი ფული. თითოს ხუთას-ხუთასი მანეთი შეგვხვდა!

წიოკაშვილმა ფული გადათვალა და ჯიბეში ჩაიტენა.

— ჩვენ ერთ მაღაზიას კიდევ დავადგით თვალი, — ეუბნება ჩექმებიანი მიწაჭამიას.

— მართლა? სად?

— გაღმა, ოსების სოფელში.

— მერე?

— წვიმიანი ღამეა საჭირო! ხომ იცი, კვალი წვიმამ თუ არ გადარეცხა, ძაღლი გვიპოვის.

წიოკაშვილმა მოწმენდილ ცას მოავლო თვალი.

— ჩვენს ჯიბრზე გრძელდება გვალვა! — ისე ჩაილაპარაკა, თითქოს მოსავლის ბედი აწუხებდა.

— მიწაჭამიავ, იმ ბადურაში რა არის? — ეკითხება წვერწითელი, თან ნერწყვს ყლაპავს.

— დედალი და ქიპიტაური იქნება, მაგას რა კითხვა უნდა, — ქირქილებს ჩექმებიანი.

წიოკაშვილი წამოდგა, ტოტიდან ბადურა ჩამოხსნა და მოლზე სუფრა გაშალა.

ტრაქტორი კვლავ გუგუნებს.

მიწაჭამიამ ყანწით ქიპიტაური ჩამოარიგა.

— ჰო, მართლა, ხალაწანში რა გაიგეთ, ვიღაც მანქანის ყიდვას აპირებსო, ფული სად ჰქონია?

— შემნახველ სალაროში! — უპასუხა ჩექმებიანმა.

— უჰ, მართლა? — ისე ეწყინა წიოკაშვილს, თითქოს მისი საკუთრება ვინმეს წაერთმიოს.

— ეჰ, სახლში რომ ჰქონოდა, ავშენდებოდით! — ამოიოხრა წვერწითელმა.

— ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენს საქმიანობას გაუმარჯოს! — დაილოცა ჩექმებიანი, ყანწი გამოცალა და თქვა:

— ოსების სოფელში ორი კარგი ძროხაც შევიგულეთ. თუ დროზე არ გაწვიმდა და მაღაზია არ გავწმინდეთ, მაშინ ის ძროხები უნდა გავაქროთ.

— მე არ შემიყვანთ წილში? — იკითხა მიწაჭამიამ.

— მა რა!

— მაშ, თქვენ ეგ ცხვრები იმ თუშს უნდა მიაბაროთ?

— ჰო, თუში საიმედო კაცია, ერთ კვირაში ფულს ჩაგვაბარებს.

— აბა შენ იცი, მიწაჭამია, ხიწვაშვილი არ მოაწყინო, ერთ საღამოს დაპატიჟე კიდეც, ეჭვს ველარ აიღებს.

— თქვენ მაგის დარდი ნუ გაქვთ!

— აბა, დაწყება-დამთავრებისა იყოს. არაყს სიკეთე არ მოაქვს, საქმეს მივხედოთ! — მეთაურის კილოთი თქვა წვერწითელმა და წამოდგა.

მიწაჭამიამ ნარჩენები ისევ ბადურაში ჩაალაგა.

— მომავალ ხუთშაბათს ისევ აქ შევხვდეთ? — იკითხა მან

— არა, ადგილი უნდა გამოვიცვალოთ. რა იცი, შეიძლება ვინმემ დაგვინახა, — თქვა წიოკაშვილმა. — ბალთაგორის ტყეში, ნასაყდრალთან, შარშან რომ ვხვდებოდით... ასე არა სჯობია, დაბალო?

— რა თქმა უნდა! — დაეთანხმა ჩექმებიანი.

— ისევ ამ დროს? — იკითხა წიოკაშვილმა.

— არა, მთვარე რომ ამონათებს.

—აი, იქ კი თქვენ გმართებთ მასპინძლობა.

— კი, მიწაჭამია, შენ მაგის დარდი არ გექნეს. ინდაურს მოვიტან!

— ორ ჭიქას რომ დალევთ, ლაპარაკს ნუ მოუმატებთ! ცოტა ფრთხილად! მე რაღაც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვიღაცა გვიყურებს, ან თითქოს ვიღაცამ იცის, რომ აქა ვართ! — ამბობს წვერწითელი და ბოროტ თვალებს აქეთ-იქით აბრიალებს.

— ჰმ, ორ ჭიქას რომ დალევ, შენ მერე მოგაგონდება ხოლმე სიფრთხილე! — ქირქილებს ჩექმებიანი.



— მაშ ასე, მიწაჭამია! შაბათ დილით თქვენ თბილისში მიდიხართ, კვირა საღამოს კი ხიწვაშვილების ჭედილები...

წვერწითელი ხელის გულებს ერთმანეთზე უსვამს.

ერთმანეთს ემშვიდობებიან.

აყლაყუდა წვერწითელი და დაბალი ჩექმებიანი საიდანაც მოვიდნენ, ისევ იქით მიდიან, მიწაჭამია კი — თავის სოფლისკენ. შემდეგ ეკრანზე კვლავ უმწიფარი ნაყოფით ტოტებდაზვინული პანტა მოჩანს. იგი შეშფოთებული შრიალებს.

ტრაქტორის გუგუნი კვლავ ისმის.

*დიქტორი:* — ფილმი აქ მთავრდება, დანარჩენი კი...

დარბაზში სინათლე აინთო.

მილიციის უფროსი უკვე ფეხზე იდგა და იღიმებოდა.

ქოზაევი დიდრონ თვალებს ჭოტივით ახამხამებდა და ჯერაც ვერ გამორკვეულიყო, ეს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა, თუ ცხადში.

ბიჭები მოელოდნენ, რომ უფროსი მოულოდნელობისაგან გაოცდებოდა, სიხარულით ცას შესწვდებოდა და იმ წუთშივე ოპერატიულ ჯგუფს გამოიძახებდა დავალების მისაცემად. პირიქით კი მოხდა. ბიჭებს უკვირდათ, მილიციის მუშაკები ასე მშვიდად და გულცივად რატომ შეხვდნენ ამ ამბავს.

,,იქნებ ჰგონიათ, რომ ეს ამბავი მოგონილია?‘‘ — ფიქრობდა ლაშა.

— ,,იქნებ ვერ გაიგეს, რაშია საქმე‘‘, — ფიქრობდა ბიძინა.

— გაიგე, ქოზაევო, ვინ ყოფილან ეს ბიჭები? — ჰკითხა უფროსმა.

— დიახ, გავიგე.

— ვინ ყოფილან?

— უჩინმაჩინები, — გაიცინა მილიციელმა.

— უჩინმაჩინები და... ნამდვილი ვაჟკაცები! — დაამატა უფროსმა. მერე ბიჭებს ხელი მოხვია და სათითაოდ გულზე მიიხუტა.

— იცით, ეს ნამდვილი ამბავია! — უთხრა ლაშამ, როცა უფროსმა ხელი გაუშვა.

— ვიცით.

— ჰოდა, ამ საღამოს აპირებენ ხიწვაშვილის გაქურდვას.

— ისინი ბევრ რამეს აპირებდნენ, მაგრამ...

— რა მაგრამ? — მოთმინება აღარ ჰყოფნიდა გოგის.

— ის თქვენი ჩექმებიანი და წვერწითელი გუშინ საღამოს ჩვენ უკვე დავაკავეთ! — გაიღიმა უფროსმა.

ბიჭები სახტად დარჩნენ.

— მაგრამ ეს ფილმი ჩვენთვის მაინც ძვირფასია! — განაგრძო უფროსმა, — აქედან გავიგეთ წიოკაშვილის კაი კაცობის ამბავი. და, რაც მთავარია, ძიებისათვის ეს ისეთი მტკიცებაა, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება.

ბიჭები თვალებში შეჰყურებდნენ სახეგაბრწყინებულ უფროსს.

— ახლა მიწაჭამია თბილისშია და ალბათ გუნებაში ეღიმება. ის კი არ იცის, მალე იმასაც აქ მოვაბრძანებთ და ყველა მათ ხელშემწყობსაც. მერე ყველას ერთად მივიპატიჟებთ უჩინმაჩინების გადაღებული ფილმის სანახავად... თქვენ კი, უჩინმაჩინები კი არა, ნამდვილი გმირები ყოფილხართ, ჩემო პატარა მეგობრებო! — უფროსმა ბიჭებს ისევ გადახვია ხელი.

კარი გააღეს და დღის სინათლეზე გამოვიდნენ.



განყოფილება მიჰყავს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს
**არლი თაყაიშვილს.**

**ხმიადი** — უსაფუვროდ გამომცხვარი პური. „მექვსე ტახტზე დავსვი, წინ სუფრა დავუდგი, თაფლ-ერბოიანი ჯამი, მასთან ერთად **ხმიადი** და დამბალი ხაჭო“ (ვაჟა).

**ხმიადი** გამოიყოფა რთული ფუძის მეორე შემადგენელ ნაწილად სიტყვებში: **ქადა-ხმიადი, თაფლ-ხმიადი.**

**ხმიადის** პარალელურად დასტურდება **ხმიანდი.**

**ხმიადის** ამოსავალი ფუძეა **ხმელი,** ოღონდ აქ **ხმელი მშრალის, გამხმარის** მნიშვნელობით კი არ იგულისხმება, არამედ **მტკნარის, უმარილოსი.**

ამრიგად. **ხმიადი** ნაწარმოებია, როგორც **ფრიადი, ზვიადი, დიადი** და სხვ.

**კომლი** — ცალკე ოჯახი, მოსახლე. „სოფელში სულ სამიოდე **კომლს** ჰყავდა ბატები“ (ნ. ლომოური).

**კომლის კაცი** — კომლიდან თითო კაცი, კომლზე კაცი. „საყდრის გალავანში **კომლის** კაცს მოეყარა თავი“ (ვაჟა).

**კომლი** ნაწარმოებია **კვამლ** ძირიდან.

სულხან-საბა **კუამლს** ცეცხლის ბოლს უწოდებს. „ჩიბუხსა სწევდა, კვამლს **კვამლში** რევდა“ (ვაჟა). **კვამლი** ხშირად იხმარება **კომლის, ოჯახის** მნიშვნელობით: „ფშავში **ასკვამლიან** სოფელში. ერთად ორ-სამ **კვამლზე** მეტს ვერ იპოვით. ყველა ცალკე, განმარტოებით ცხოვრობს“ (ვაჟა). ასევე, **კვამლის,** ბოლის მნიშვნელობით დასტურდება **კომლიც:** „ტყეს **კომლი** ასდიოდა“ (ნ. ლომოური). ასეთი დაკავშირება სხვა ენებშიაც გვაქვს (მაგალითად, რუს. дым, კვამლიცაა და ოჯახიც) და ეს გასაგებია: ოჯახად მიაჩნდათ ის მოსახლე. რომლის კერაზე **ცეცხლი** ენთო და **კვამლი** ამოდიოდა.

**კომლი** მიღებულია ძველ ქართულ **კუამლ**-ში **უა** კომპლექსის **ო**-დ ქცევით. ასეთ შერწყმას სალიტერატურო ენა გაურბის, მაგრამ იგი აღმოსავლურ დიალექტში დაცულია: თუალი>თოლი, ცხუარი>ცხორი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ **კუამლ** სიტყვის ძირად **კუმ** გამოიყოფა. იგი დასტურდება ძველ ქართულ **კუმევა, სა-კუმ-ევ-ელ-ში.**

**საკმეველი** — ტროპიკული ხის გამონაჟონი სურნელოვანი ფისია, რომელსაც **აკმევენ** მღვდელმსახურების დროს. „საცეცხლურში მნათეს იმდენი **საკმეველი** ჩაეყარა. რომ საცეცხლური თანდათან ნედლი ჯირკივით აღრჩოლდა“ (რ. გვეტაძე).



# როგორ ვიღებთ კინოფილმს

## მუზების სავანეში


რეზო ჩხეიძე,
კინორეჟისორი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.


მაგდანას სახის ასეთი გააზრება კიდევ უფრო აშკარას გახდიდა ამ ქალის კეთილშობილებას და ქართულ ხასიათს, როდესაც ბავშვებისადმი ერთგულება და მათდამი პირადი ბედნიერების შეწირვა ეროვნულ ტრადიციად არის ქცეული. ეს თემა ზედმეტად ხაზგაუსმელად, მაგრამ ისე, როგორც მეორე, მესამე პლანზე არსებული, უნდა ეგრძნო მაყურებელს. გარდა იმისა, რომ მსახიობს უნდა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნილება, საჭირო იყო კოსტუმის ისე მოძებნა და ისეთი მატერიიდან დამზადება, რომ ტრადიციული ქართული კაბის ფართოდ გაშლილ ხაზებს და შავ ფერს არ შეექმნა მეტად მძიმე იერი. ამიტომაც, ჩვენ სოფელ უფლისციხეში (გორის რაიონი), სადაც, ძირითადად, გადაღებულია ფილმი „მაგდანას ლურჯა", ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის მაგდანასათვის მოვძებნეთ ნახმარი, მზეზე საკმაოდ გამოხუნებული, შავი, შინ ნაქსოვი ქაკეტი, რომელიც საკმაოდ უხეშად გამოიყურებოდა, მაგრამ ამავე დროს, როგორც ყოველი ნაქსოვი, ტანზედ კარგად ეკვროდა ჩამცმელს. ჩვენ ამით არ დაგვირღვევია ეროვნული ტრადიცია. მაგდანა, როგორც გახსოვთ, ზუსტად დროისათვის შესაბამისი გემოვნებით იყო ჩაცმული, მაგრამ მის იერში კოსტუმით შეტანილი იყო ქალური, ახალგაზრდული შტრიხი, რომელიც ეხმარებოდა მსახიობს ეთქვა ის, რაც სახის სიღრმეში ფილემდა. სოფელ უფლისციხის მოსახლეობაში, ნაცვამ და თითქმის გადაყრილ ტანსაცმლიდან ამოვარჩიეთ მაგდანას შვილების — მიხოს, კატოს და სოფოს ტანსაცმელი. ეს, უეჭველად, ჰქმნიდა დიდ ცხოვრებისეულ სიმართლეს.

ლიტერატურული სცენარიდან, როგორც ვთქვით, რეჟისორი ოპერატორთან, მხატვართან და კომპოზიტორთან ერთად წერს სარეჟისორო სცენარს. ლიტერატურული სცენარი მოცულობით, როგორც წესი, დაახლოებით 55—65 გვერდს არ აღემატება. სარეჟისორო სცენარი კი 150-180 გვერდამდე აღწევს. რატომ? რატომ გაიზარდა თითქმის ორჯერ სარეჟისორო სცენარი? ეს იმიტომ მოხდა, რომ სარეჟისორო სცენარში, გარდა მოქმედების აღწერილობისა და დიალოგისა, აღნიშნულია ზუსტი მიზანსცენები, როგორი ხერხითა და საშუალებებით იქნება გადაღებული თითოეული კადრი, სად და როგორი ხასიათის ბუნება (ფონი) იქნება შერჩეული ამა თუ იმ ეპიზოდისათვის, რამდენი მეტრი იქნება ცალკეული კადრი და რამდენი ასეთი კადრი უნდა იქნეს გადაღებული, რომ მთელი ფილმი შეიკრიბოს. სარეჟისორო სცენარის ბოლო გვერდზე უსათუოდ არის აღნიშნული ფილმის საერთო მეტრაჟი. იგი, როგორც წესი, მერყეობს 2200 მეტრიდან 2800 მეტრამდე. ყველაზე გავრცელებული მეტრაჟია 2500 მეტრი (არსებობს გამონაკლისი — განსაკუთრებით, როდესაც საქმე გვაქვს უცხოეთის ფილმებთან). სარეჟისორო სცენარის ბოლო გვერდზე აღნიშნულია გადასაღები კადრების რაოდენობა. როგორც წესი, სრულმეტრაჟიანი ფილმის კადრების რაოდენობა მერყეობს 350-დან 500-მდე. თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც. მაგალითად, ცნობილი ფრანგული კინოკომედია „ფანფან ტიულპანის" კადრების რაოდენობა ათასამდე აღწევდა, რაც გამოწვეული იყო ამ ფილმის არაჩვეულებრივი, თავბრუდამხვევი რიტმით.

ამრიგად, სარეჟისორო სცენარი არის ფილმის დადგმის პროექტი, სადაც ჩამოყალიბებულია ფილმის შემოქმედებითი სტილისტური გადაწყვეტა (მიზანსცენები, აპარატის მოძრაობა, კადრებად დაყოფა, კოსტუმების და დეკორაციების ესკიზები), აგრეთვე ტექნიკური შესრულების საშუალებები (როგორ იქნება განხორციელებული გადაღებები — შვეულმფრენიდან თუ ავტომანქანიდან, რამდენი განმანაწილებელი აპარატურა იქნება საჭირო გადაღებისათვის და სხვ.). ყოველივე ასეთი ზუსტი აღნიშვნების საფუძველზე კინოეკონომისტები, მშენებელი ინჟინრები, სურათის დირექტორები ადგენენ ფილმის საერთო ღირებულებას და მის ფინანსიურ გაანგარიშებას. ფორმალურად რომ ვიმსჯელოთ, სარეჟისორო სცენარის დაწერის შემდეგ შემოქმედებითად ძლიერ „ცოტა" საქმე რჩება კაცს: დაიკავე ხელში სარეჟისორო სცენარი, გადაიღე ცალ-ცალკე ზუსტად დაგეგმილი კადრები; ბოლოს, მონტაჟის დროს, ისინი შეკრიბე — ე. ი. ერთმანეთს მიაწებე, და ფილმიც მზად იქნება. ვინც ასე ფიქრობს, დიდ შეცდომას უშვებს. საქმე იმაშია, რომ ფილმის ზუსტად, სარეჟისორო სცენარის მიხედვით გადაღება შეუძლებელია. ძალიან ხშირად, გადაღების პროცესში რეჟისორი მსახიობთან ან სხვა შემოქმედებით კომპონენტთან (ოპერატორთან, კომპოზიტორთან, მხატვართან) მჭიდრო ურთიერთობაში პოულობს ზოგიერთი კადრის, და შეიძლება მთელი ეპიზოდის, ახლებურ, უფრო საინტერესო გადაწყვეტას, ვიდრე ეს ადრე, სარეჟისორო სცენარში იყო გათვალისწინებული. როგორ უნდა მოიქცეს იგი? იმის გამო, რომ სარეჟისორო სცენარში აღნიშნული იყო სხვაგვარად და ეს ასე იყო დამტკიცებული — უარი უნდა თქვას ახალ, საინტერესო გადაწყვეტაზე? რა თქმა უნდა, არა! ვისაც გინახავთ კინოფილმი „ჯარისკაცის მამა", გემახსოვრებათ, თუ როგორ შემთხვევით პოულობს კაბელის გამყვანი გიორგი მახარაშვილი ღრმა თოვლში წაქცეულ და დაფლულ სახელმწიფო-სასაზღვრო ბოძს წარწერით „СССР"-ით, მებრძოლებთან ერთად, ყუმბარების გრიალში, მთელი ძალით ფეხზე აყენებს!.. როგორ გამოიყურებოდა ეს ეპიზოდი სარეჟისორო სცენარში? სარეჟისორო სცენარის მიხედვით, ჩვენი ჯარის დიდი ნაწილები გადადიოდნენ ულრან ტყეში, ღრმა თოვლში, მძიმედ მიაბიჯებდნენ დაღლილი მებრძოლები და მათ შორის — გიორგი მახარაშვილი. ამ დროს გაისმოდა შორეული ვაშას გუგუნი! დაღლილი მებრძოლებისკენ მორბოდა სიხარულისაგან აღტაცებული ჯარისკაცი და ლეიტენანტს უპატაკებდა, ჩვენმა ჯარმა საზღვარს მიაღწიაო! ამ ამბით თავდავიწყებული მებრძოლები გარბოდნენ წინ, იქით, სადაც საზღვარი იყო!.. ფილმის თითქმის ნახევარი გადაღებული იყო, ახლოვდებოდა დღეები, როდესაც საზღვრის პოვნის ეს ეპიზოდიც უნდა გადაგვეღო... სულში რაღაც უკმაყოფილებამ დაისადგურა. ვგრძნობდი, საზღვარზე გადასვლის ეპიზოდი ისე რომ გადაგვეღო, როგორც სარეჟისორო სცენარში იყო, ტრაფარეტული გამოვიდოდა და გიორგი მახარაშვილის ხასიათიც საერთო ამბავში გაითქვიფებოდა. საჭირო იყო სცენის ისეთი „გასაღებით" გადაღება, რომელიც, მიუხედავად მოვლენის (სახელმწიფო საზღვრის აღმოჩენის) გრანდიოზულობისა, ადამიანის ხასიათს გამოხატავდა. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ეს მოსაზრება გავუზიარე სცენარის ავტორს სულიკო ჟღენტს, მსახიობ სერგო ზაქარიაძეს, მხატვარ ზურაბ მეძმარიაშვილს, რეჟისორ თემო მიქაძეს და სამხედრო კონსულტანტს გენერალ-ლეიტენანტ ი. ვლადიმიროვს. მე მეშინოდა, რომ გენერალი, რომელიც ყველაზე მეტად პატივს მასიურ სცენებს სცემდა, ჩემს ახალ მოსაზრებას არ გაიზიარებდა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, პირველმა გენერალმა ვლადიმიროვმა წამოიძახა: „ასე აჯობებსო". დაიწყო ძიება, დეტალების დაზუსტება, და ამის შემდეგ, როგორც ხედავთ, ეკრანზე მივიღეთ ეპიზოდი, რომელიც თავისი მხატვრული ძალით გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ის, რაც ადრე, სარეჟისორო სცენარში იყო გათვალისწინე-




კადრი ფილმიდან
„ჯარისკაცის მამა"

* გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 2.

ბული. ასეთი მაგალითები ბევრია, როგორც ჩემს სარეჟისორო პრაქტიკაში, ისე — საერთოდ.

ამგვარად, როგორც ხედავთ, შეიძლება შეიცვალოს სარეჟისორო სცენარის მთელი გვერდები, — მთლიანობაში კი ფილმი სარეჟისორო სცენარის პროექტის მიხედვით კეთდება და მის იდეურ-სახეობრივი გადაწყვეტის ადექვატურ იერს ატარებს. ამიტომ, მიუხედავად აუცილებელი ცვლილებებისა, რომლებიც, როგორც ვთქვი, შეიძლება ფილმის გადაღების პროცესში მოხდეს, სარეჟისორო სცენარის ზუსტ და ყოველმხრივ დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ პროცესზე დიდადაა დამოკიდებული კინოფილმის ავ-კარგი, ღირსება-ნაკლოვანებანი.

## მოსამზადებელი პერიოდი

სარეჟისორო სცენარის შექმნიდან იმ დღემდე, ვიდრე პირველი გადაღება დაინიშნებოდეს, ორნახევარი — სამი თვე გადის. ეს დრო ეძლევა გადამღებ ჯგუფს, რათა იგი საბოლოოდ მოემზადოს, რომ შემდეგ გადაღება აწარმოოს დაუბრკოლებლად. გადამღები ჯგუფი სარეჟისორო სცენარის წერის პერიოდში სულ 4-5 კაცისაგან შედგება (რეჟისორი, ოპერატორი, მხატვარი, კომპოზიტორი და ჯგუფის დირექტორი). სარეჟისორო სცენარის დაწერის შემდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება საქმიანობის მასშტაბი და მისი პრაქტიკულად განხორციელების აუცილებლობა, იზრდება ჯგუფის შემადგენლობაც, საქმე უჩნდებათ რეჟისორის, ოპერატორის და მხატვრის ასისტენტებს, მხატვარ-ბუტაფორებს, რეკვიზიტორებს და სხვ.

რა სამუშაოებია შესასრულებელი მოსამზადებელ პერიოდში? უპირველესად, საჭიროა მსახიობების შერჩევა, როგორც ცენტრალური როლებისათვის, ისე მეორეხარისხოვანი ეპიზოდებისათვის: როგორ ხდება მსახიობების შერჩევა? თუ სცენარი თავიდანვე გამიზნულია ამა თუ იმ მსახიობის ინდივიდუალობაზე (რაც, სამწუხაროდ, ჩვენში იშვიათად ხდება), მაშინ ეს, შედარებით, იოლი საქმეა. რეჟისორი ამ მსახიობთან აწარმოებს სასინჯ გადაღებებს, რასაც მხოლოდ ის დანიშნულება აქვს, რომ იპოვოს მსახიობის გრიმი, გარეგნობა, რათა მსახიობი რაც შეიძლება კარგად ჩაჯდეს როლში, შეისისხლხორცოს მისი თვისებები. ასეთ შემთხვევასთან გვქონდა ჩვენ საქმე კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ გადაღების დროს. სცენარი თავიდანვე იწერებოდა იმ განზრახვით, რომ გიორგი მახარაშვილის როლი უნდა ეთამაშნა სერგო ზაქარიაძეს. ამიტომ, ამ შემთხვევაში, სასინჯ გადაღებებს მხოლოდ როლთან შეგუებისა და გარეგნული სახის ბოლომდე მოძებნის მნიშვნელობა ჰქონდა.

მაგრამ, როგორც ვთქვი, ასეთი შემთხვევა იშვიათად ხდება. ჩვენს პრაქტიკაში ასეა: ყოველ როლზე გვიხდება მსახიობის ხანგრძლივი ძებნა, როგორც კინომსახიობთა შორის, ისე თეატრში, უმაღლეს სასწავლებლებში, ქარხნებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში და... ქუჩაში. გააჩნია, როგორი როლია შესასრულებელი: ქალის თუ კაცის, ბავშვის თუ მოზრდილის, როგორი გარეგნობის, როგორი ხასიათის... არსებობს ბედნიერი შემთხვევები, როდესაც სცენარის წაკითხვისთანავე რეჟისორისათვის ნათელია, — რომელ როლს რომელი მსახიობი შეასრულებს. ასე იყო, როდესაც მე ვმუშაობდი კინოფილმზე „ჩვენი ეზო“. მახსოვს: გოჩა აბაშიძე, სოფიკო ჭიაურელი, გიორგი შენგელაია, ნოდარ ფირანიშვილი იმთავითვე გაჩნდნენ ჩემს შემეცნებაში, როგორც შესაძლებელი კანდიდატები. გოჩა აბაშიძის საცდელი გადაღებისათვის არც ფირი და არც დრო არ დამიხარჯავს, პირდაპირ მივანდე ამ ნიჭიერ ახალგაზრდას რთული როლის შესრულება. სოფიკო, გიორგი და ნოდარი გადავიღეთ თითოჯერ. ამ როლებზე გასასინჯად სხვა კანდიდატები არ მოგვიწვევია, რომ შედარება მოგვეხდინა, თუმცა, როგორც წესი, თითოეულ როლზე 3-4 კანდიდატი მაინც ისინჯება ხოლმე. ჩემსავე პრაქტიკაში ასეც ყოფილა: დიდხანს მიძებნია საჭირო კანდიდატურა. მაგალითად, „მაგდანას ლურჯას“ გადაღების დროს ბევრი ვარჩიეთ, თუ ვის ეთამაშნა მაგდანას როლი. ბევრი ვეძიეთ მიტუა მენახშირის შემსრულებელიც. ვის არ მივმართეთ, რომელი მსახიობის კანდიდატურაზე არ შევჩერდით, ვიდრე აკაკი კვანტალიანი გამოჩნდებოდა. გამოჩნდებოდაო, — იმიტომ ვამბობ,



„ჯარისკაცის მამა“. გიორგისა და არკადის გაცნობის ეპიზოდი.

რომ ა. კვანტალიანმა თვითონ გამოთქვა სურვილი — ეთამაშნა ეს როლი, და მერე თავისი ოსტატობით ჩვენც დაგვაჯერა, რომ იგი საუკეთესო მიტუა იქნებოდა. ჩვენ — ამ ფილმის რეჟისორები (მე და თ. აბულაძე) ვშიშობდით: აკაკი კვანტალიანი კომედიური ტალანტია, რომ იგი სახეს გროტესკულ იერს მისცემდა და სოციალური ყდერადობის ნაცვლად კარიკატურა გამოვიდოდა... მაგრამ პირველსავე შეხვედრაზე, საცდელი გადაღების წინ, როდესაც ა. კვანტალიანმა როლისათვის საჭირო ტანსაცმელი ჩაიცვა და თმა-წვერი გაიბანჯგვლა (თმა დავაკარით ყურებზე, ყელზე, მაჯებზე...), ჩვენს წინაშე სრულიად ახალი სახე დადგა, სახე—სავსე უცნაურობითა და უხეშობით, ღიმილის მომგვრელიც კი, მაგრამ მაინც საშიში და არა სასიამოვნო... კიდევ უფრო ძნელი იყო მაგდანას შვილების პოვნა. საინტერესოდ წარიმართა მიხოს როლის შემსრულებლის ძებნა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ჩვენთვის განვსაზღვრეთ, როგორი უნდა ყოფილიყო მიხო. ნამდვილი სოფლელი ბიჭი, აღმოსავლელი ქართველის იერით — შავტუხა, დაფიქრებული, დინჯი, მკვირცხლი გონების და საზრიანი.. ვთხოვეთ ყველა ნაცნობს, ყველა მეგობარს. თუ სადმე ეგულებოდათ ან შეხვდებოდათ ასეთი ბიჭი — სტუდიაში მოეყვანათ. ეს თხოვნა გამოვაცხადეთ რადიოთი, გაზეთში... სასურველი შედეგი არ ჩანდა. გადავწყვიტეთ — კანდიდატი თბილისის გარეუბნების სკოლებში გვეძებნა. ერთხელ, ახალი სასწავლო წელი ახალი დაწყებული იქნებოდა, ლენინის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში შევედით, საბჭოს ქუჩაზე. სკოლის დირექტორს ვთხოვეთ — ნება მოეცა თვალი გადაგვევლო პირველკლასელებისათვის გაკვეთილის მსვლელობის დროს. დირექტორი კლასში შეგვიძღვა. მასწავლებელი ბავშვებს ლექსებს აკითხებდა. წაიკითხა ერთმა, მეორემ. და აი, წამოდგა ერთი პატარა, დაბღვერილი, შავტუხა ბიჭუნა. წამოდგა და დაიწყო კითხვა. მის გამოთქმაში არ იგრძნობოდა ის დასწავლილი ინტონაცია, რომელიც ასე ხშირად ყურს უსიამოვნოდ კვეთს, საბავშვო ბაღებში ზოგიერთი მასწავლებლის გულმოდგინეობის შედეგად სტანდარტულად რომ აქვთ ბავშვებს აკვიატებული. შავტუხა ბიჭმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და სტუდიაში დავიბარეთ. მეორე დღეს დედამისით, საუზმითა და პატარა ძმიკო ნემოთი, რომელიც მაშინ 4 წლისა იყო და სახლში მასთან დამტოვებელი არავინ ყავდათ, იგი სტუდიაში გამოცხადდა. ჯერ გადავიღეთ ფოტოგრაფიული სინჯი. ყველას ძალიან მოეწონა. მერე ბავშვს მივეცით ასეთი ამოცანა: იგი შეუმჩნევლად უნდა შეპარულიყო ბაღში, სადაც თვლემდა მოხუცი მებაღე... ეს ეტიუდი კინოეკრანისათვის გადავიღეთ და დავრწმუნდით, რომ საქმე გვქონდა შესაფერის კანდიდატთან. ეს ბავშვი გახლდათ როლანდ ბორაშვილი, რომელმაც შემდგომში შესანიშნავად განახორციელა მიხოს როლი „მაგდანას ლურჯაში“, წარმატებით ითამაშა ბევრ სხვა ქართულ ფილმშიც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ერსკინ კოლდუელი**

მხატვარი
დ. ჯარაფიშვილი

საღამო ხანი იყო. კრისტი ტეკერი პლანტაციის დაბისაკენ სტვენა-სტვენით მიაჩაქჩაქებდა ჯორს. იგი მთელი დღე სარებს ჩორკნიდა და ფრიად კმაყოფილი იყო თავისი ნაშრომით. კრისტის იშვიათად თუ უწევდა დაბაში ჩასვლა, და, როგორც კი დროს იშოვიდა, მაშინვე იქით მიაშურებდა ხოლმე.

მან ფარდულის უკან დააბა ჯორი. უცებ, გუმანით მიხვდა, რომ დამხვდური ზანგები პირს არიდებდნენ. კრისტი, თავის ცოლთან ერთად, სამი თვის წინ მოვიდა ამ პლანტაციაში და ჩამოსვლის დღიდანვე მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო შავკანიანებთან. ამიტომ, ვერ მიმხვდარიყო რა მოელანდათ დღეს, რომ არც ერთი მათგანი ხმას არ სცემდა. გაოცებული კრისტი აუჩქარებლად გაემართა კანტორისაკენ. გზაზე ფროგი მილერს შეეჩეხა. მილერმა გვერდის აქცევა დააპირა, მაგრამ კრისტიმ სახელოში სტაცა ხელი.

— რა დაგემართა? — ჰკითხა მან.

ფროგი მილერი კრისტის ყველაზე ახლო მეზობელი იყო, სულ რაღაც ერთი მილის დაშორებით ცხოვრობდა მისგან.

— რა მოხდა, ფროგი?

ბრგე, ხუჭუჭა ზანგმა უკან დაიხია.

კრისტიმ ხელი მკლავში ჩაავლო და შეანჯღრია.

— მოიხედე აქეთ, — დაიწყო შეშფოთებულმა კრისტიმ, — რა დაგემართათ ან შენ, ან სხვებს?

— მისტერ ლი კროსმენმა დაგიბარა? — ჰკითხა ფროგიმ.

— ჰო, დამიბარა, — მიუგო კრისტიმ, — ალბათ მეურნეობის თაობაზე უნდა მითხრას რამე. მაგრამ რა შუაშია...

ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ ფროგიმ მკლავი გამოსტაცა და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას. კრისტიმაც აღარ დააყოვნა და სირბილით გაეშურა კანტორისაკენ. ერთი სული ქონდა, გაეგო რა მოხდა.

ბუღალტერი ჰენდრიკსი და ლი კროსმენის უმცროსი ძმა მორგანი წინა ოთახში, ფანჯრის რაფაზე ფეხებშემოწყობილი ისხდნენ, კრისტი კანტორაში რომ შევარდა. მის დანახვაზე ჰენდრიკსი ადგა და მეორე ოთახში გავიდა. წარბშეკრული მორგანი კი მიაშტერდა კრისტის

და თვალი არ მოუშორებია, სანამ ბუღალტერი არ დაბრუნდა.

— შენ, ეი, შედი იქ, — დაუძახა ჰენდრიკსმა.

კრისტი შებრუნდა. კარებში, პლანტაციის მეპატრონე ლი კროსმენი იდგა.

— დიახ, სერ, — თქვა კრისტიმ.

ლი კროსმენს ხაკისფერი ქურთუკი, შემოსალტული ბრიჯები და მალალყელიანი, ბოლომდე თასმებშეკრული ფეხსაცმელები ეცვა. იგი გვერდზე გადგა და კრისტი მეორე ოთახში გაატარა. შემდეგ გარედან მიუხურა კარი. კრისტი შუა ოთახში გაჩერდა და ლი კროსმენს დაელოდა.

ტეკერი კროსმენის პლანტაციაში სამიოდე თვის წინ მოვიდა. მანამდე ის არასოდეს არ ყოფილა ჯორჯიაში. აქ ამიტომ გადმოსახლდა, რომ ბევრჯერ სმენოდა — ჯორჯიაში მიწა უფრო ბარაქიანია და საიჯარო სამუშაოებიც გაცილებით ხელსაყრელიაო. კრისტი ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ მისთვის მხოლოდ კუჭის ამოვსება არ კმაროდა; სურდა — რაიმესათვის მიეღწია ამ ცხოვრებაში.

ლი კროსმენი იგვიანებდა. კრისტი ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა. როგორც კი დაჯდა, კარი გაიღო. კრისტი ფეხზე წამოხტა.

— გამარჯობათ, მისტერ ლი, — ღიმილით დაიწყო მან, — აქაური მიწაც მოვსინჯე. აი, რამდენიმე სახნისიანი გუთანი და კიდევ ერთი ჯორი რომ მომცეთ, მეტ ბამბას მოვიყვანდი. ძალიან კარგი მიწაა. ქვა და კუნძი კი არა, პატარა ბუჩქსაც ვერ ნახავთ სადმე. ხელისგულივითაა, უბრალო ოღრო-ჩოღროსაც ვერ იპოვით. თუ ერთ ჯორს და რამდენიმე სახნისიან გუთანს მომცემთ, იმდენ ბამბას მოგიყვანთ, რომ თქვენმა ორმა მოიჯარადრემაც ვერ მოიყვანო იმდენი.

ლი კროსმენმა ბოლომდე მოუსმინა, მერე კარი მიაჯახუნა და მტკიცე ნაბიჯით შევიდა ოთახში.

— ზანგო, მე დაგიბარე შენ, თუ შენ — მე? — იკითხა მან.

— დიახ, მისტერ ლი, — უპასუხა კრისტიმ, — თქვენ დამიბარეთ.

— ჰოდა, ჩუმად ეგდე, შავო მაიმუნო, სანამ გკითხავენ რამეს.

— დიახ, სერ, მისტერ ლი, — ამოილაპარაკა კრისტიმ, უკან-უკან დაიხია და კედელს მიეყუდა. ლი კროსმენი სავარძელში ჩაეშვა და ავი თვალით მიაჩერდა მას. — დიახ, სერ მისტერ ლი, — გაიმეორა კრისტიმ.

— შენ იმათთაგანი ხარ არა, ცხვირს რომ მაღლა იწევენ? — თქვა ლიმ, — აქ საიდან გაჩნდი? შენ აქაურ ზანგს არ გავხარ.

— არა, სერ, მისტერ ლი, — თქვა კრისტიმ და თავი გააქნია, — მე ალაბამაში დავიბადე და გავიზარდე.

— მერე? ალაბამაში ვერ გასწავლეს ჭკუა?

— დიახ, სერ, მისტერ ლი, მასწავლეს.

— მაშ რაღაზე ჩამოხვედი ჯორჯიაში და რატომ იბღინძები?

— არ ვიცი, მისტერ ლი.

დაბნეულმა კრისტიმ სახეზე ჩამოისვა ხელი. მას ვერ გაეგო, რის გამო უწყრებოდა ლი კროსმენი. ახლა მიხვდა, რატომ არიდებდნენ თვალს და რატომ არ სცემდნენ ხმას სხვა ზანგები: იცოდნენ, კროსმენთან იყო დაბარებული; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კრისტიმ რაღაც დააშავა. მათ არ უნდოდათ შეემჩნია ვინმეს, რომ პლანტაციის ბოსის მიერ ათვალწუნებულ მოიჯარადრეს ელაპარაკებოდნენ.

— რადიომიმღები გაქვს?

— დიახ, სერ.

— სად იშოვე?

— განვადებით ვიყიდე.

— ვინ მოგცა ფული?

— ცოტაოდენი მე დავაგროვე, ცოლსაც კიდევ — ქათმები ჰყავს.

— პლანტაციის ფარდულში რატომ არ იყიდე?

— სხვაგან ვიყიდე, იქ უფრო იაფია.

— ჩემი პლანტაციის ზანგები, რაც კი სჭირდებათ, ყველაფერს ჩემს ფარდულში ყიდულობენ, გასაგებია?

— მე არ მინდა, თქვენი მოვალე ვიყო, მისტერ ლი, — თქვა კრისტიმ, — მინდა, წლის ბოლოს მთლიანად მივიღო ჩემი გასამრჯელო თქვენგან.

ლი კროსმენი სავარძლის ზურგს მიაწვა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ჯიბიდან პატარა დანა ამოიღო და ფრჩხილების წმენდას შეუდგა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. კრისტი კედელს მიყრდნობილი იდგა.

— გასწორდი, ზანგო! — დაუღრიალა ლიმ.

— დიახ, სერ, — თქვა კრისტიმ და ფიცხლად გასწორდა.

— მართალია, რომ ჩემი მასალა წაგიღია შენი ეზოს მესერის შესაკეთებლად?

— დიახ, სერ, მისტერ ლი.

— მერედა, რატომ არ მკითხე, მსურდა თუ არა მისი მოცემა?

— ვიფიქრე. რაკი მესერი დალპა და რაკი მე იმ სახლში ვცხოვრობ, უნდა შევაკეთო-მეთქი, და შევაკეთე.

— იბღინძები არა? — თქვა ლიმ, — გგონია, რომ მიწაც შენია და სახლიც, არა? შენი ფიქრით, თეთრკანიანს არაფრით ჩამოუვარდები, არა?

— არა, სერ, მისტერ ლი, — მიუგო კრისტიმ, — მე არაფერი არ მგონია. მე, უბრალოდ, არ მიყვარს უქმად ჯდომა. ეს არის და ეს. ვერ მოვისვენებ, თუ რამე არ გავაკეთე — ან მესერი თუ არ შევაკეთე, ახ შეშა არ დავაპე, ბამბა არ მოვკრიფე, მოკლედ, რამე თუ არ გავაკეთე. უსაქმოდ ვერ ვჩერდები.

— იცი, რას უშვრებიან გაბღენძილ ზანგებს ჯორჯიაში?

— არა, სერ.

— ასწავლიან — ცხვირი არ ჩაყოს სხვის საქმეში და თავისი ადგილი იცოდეს.

ლი კროსმენი ადგა, კარადის კარი გამოაღო და შიგ ხელი შეჰყო. მერე შემობრუნდა. ხელში მძიმებალთიანი, გრძელი ქამარი ეჭირა. იგი მაღალყელიან ფეხსაცმელზე ქამრის ტყლაშუნით მიუახლოვდა კრისტის.

— ვინ მისცა შენ ცოლს ჩემს პლანტაციაში ქათმების მოშენების უფლება?

— არავინ, მისტერ ლი, — თქვა კრისტიმ, — გვეგონა, რომ თქვენ ამის წინააღმდეგი არ იქნებოდით. სახლის გარშემო ქვეყნის ადგილია.

— სიტყვას ნუ მიბრუნებ, ზანგო!

— დიახ, სერ.

— მე არ მსურს, შენმა ქათმებმა მთელი ჩემი პლანტაცია გადაქექონ.

— დიახ, სერ, — თქვა კრისტიმ.

— სად იშოვე რადიომიმღების ფული?

— კურდღლებს ვიჭერდი და იმათ ტყავს ვყიდდი.

— არა მსურს, რომ ჩემს პლანტაციაში კურდღელი დაიჭიროს ვინმემ.

ლი კროსმენმა ქამარი აიქნია და თავის ფეხსაცმლის ყელზე გაატყლაშუნა.

— რატომ არაფერი გაწერია პლანტაციის ფარდულში?

— მე არ მიყვარს ვალების აღება, სერ, — მიუგო კრისტიმ, — მინდა, წლის ბოლოს სრულად მივიღო ჩემი ჯამაგირი.

— ეგ ჩემი საქმეა, ვის ვისი ვალი ექნება წლის ბოლოს: შენ — ჩემი, თუ მე — შენი, — თქვა ლიმ.

მან იატაკის ხვრელისაკენ გაიშვირა თითი.

— აიწიე ხალათი, ჩაიხადე შარვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ ხვრელთან დაიჩოქე, — თქვა თეთრმა ბატონმა.

— რას მიპირებთ, მისტერ ლი?

— ახლავე ნახავ. ჩაიხადე შარვალი და დადექი, როგორც გიბრძანე.

— მისტერ ლი, ვერ მოგცემთ ჩემი გალახვის ნებას. არა, მისტერ ლი, ვერ მოგცემთ, არ შემიძლია!..

— აი, შე შავო ძაღლო! სიტყვასაც რომ მიბრუნებ! — დაიღრიალა სიბრაზისაგან მთლად აჭარხლებულმა ლიმ და ღონივრად გადაჰკრა ზანგს მძიმე ქამარი. კრისტიმ უკან დაიხია. როცა ლიმ მეორედ მოუქნია, ქამარს ხელი უტაცა და აღარ გაუშვა. გაცოფებულმა ლიმ სახეში ჩახედა ზანგს და შეეცადა გამოეგლიჯა მისთვის ქამარი.



— მისტერ ლი, მე არაფერი არ დამიშავებია. მხოლოდ კურდღლებს ვიჭერდი... ქათმებს ვუვლიდი, — წამოიწყო კრისტიმ, — აზრადაც არ მომსვლია ავი საქმე! მეგონა, კმაყოფილი დარჩებოდით, რომ მესერი შევაკეთე.

— ხმა ჩაიწყვიტე და ახლავე გაიძვრე შარვალ-ხალათი! — დაუღრიალა გააფთრებულმა ლიმ, — ხელი გაუშვი ქამარს, სანამ მე თვითონ არ გამომიგლეჯია!

კრისტი მთელი ძალით ჩაბღაუჭებოდა ქამარს და ადგილიდან არ იძვროდა. ლი ისე გაავდა, რომ კრიჭა შეეკრა. უცებ კარადას მივარდა, რევოლვერი გამოიღო, შემოტრიალდა და სამჯერ ესროლა კრისტის.

კრისტის ხელიდან გაუვარდა ქამარი და ჩაიკეცა. ოთახში ლის ძმა, მორგანი და ბუღალტერი ჰენდრიკსი შემოცვივდნენ.

— რა მოხდა, ლი? — იკითხა მორგანმა იატაკზე გართხმული კრისტის დანახვაზე.

— დამემუქრა ეგ მურდალი, — ქშენით ამოილაპარაკა ლიმ, კარადასთან მივიდა და რევოლვერი თაროზე დასდო. — ხომ გაიგონეთ შენ და ჰენდრიკსმა, როგორ მემუქრებოდა, მოგკლავო. იძულებული გავხდი, თავის დასაცავად მესროლა.

სამივენი მეორე ოთახში გავიდნენ. სროლის ხმაზე ფარდულის ნოქრებმაც მოირბინეს.

— გაამპარტავნებული ზანგი, — აუხსნა ლიმ და ხელები დასაბანად ონკანს შეუშვირა, — ეს ის ალაბამელი ზანგია, სამი თვის წინ რომ ჩამოვიდა. დღეს დავიბარე იმის საკითხავად, ვინ დაგრთო მესერში სარების გამოცვლის ნება-მეთქი, ის კი მოკვლას დამემუქრა.

ნოქრები ფარდულში დაბრუნდნენ. ჰენდრიკსმა თავისი რვეული გადამალა და ანგარიშს ჩაუჯდა.

— გააღე უკანა კარი, — უთხრა ლიმ თავის ძმას, — დაე, ყველა ზანგმა ნახოს, რაც ელის, თუ ამ ალაბამელი ძაღლივით გაყოყოჩდება.

მორგანმა კარი გამოაღო და გაიხედა, მაგრამ იქ არც ერთი ზანგი არა ჩანდა. ერთადერთი სულიერი იყო ჯორი, რომლითაც კრისტი ტეკერი დაბაში ჩამოვიდა.

ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ ბუმაზაშვილმა.



# ელენე ახვლედიანი

თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში ახლახან მოეწყო სამხატვრო გამოფენა. ეს გამოფენა თავისი განუმეორებელი ხელოვნებით უცბად იზიდავს მნახველის თვალს. აქ წარმოდგენილი მაღალმხატვრული და ღრმა, მღელვარე სურათები სიცოცხლის ნამდვილი ჰიმნია.

ასეთია ჩვენი საამაყო, ჭეშმარიტად სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის შემოქმედების ძალა. ნიჭიერმა მხატვარმა ფართო საზოგადოებრიობის აღიარება ჯერ კიდევ ოთხ ათეულზე მეტი ხნის წინათ ჰპოვა. სტუდენტობის პერიოდში. 1924 წელს, შექმნილი მისი ფერწერული ტილო „კახეთი — ზამთარი“ უკვე ჩამოყალიბებული, ფაქიზი პოეტური განცდის შემოქმედის მაღალოსტატური ნახელავია.

ელენე ახვლედიანი მრავალმხრივი ხელოვანია — ის ფერმწერიცაა, გრაფიკოსიც, თეატრალური მხატვარიც. თუ ჩავუკვირდებით მის მხატვრულ მემკვიდრეობას, გაგვიძნელდება თქმა, რომელ დარგშია იგი უფრო თვალსაჩინო. ქართული საბჭოთა თეატრალური მხატვრობის ისტორიის დასაწყისი მის სახელთანაც არის დაკავშირებული. 1928 წელს, სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა მხატვარი, დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია თეატრში სამუშაოდ. რეჟისორი არ შემცდარა — მან ელენე ახვლედიანში აღმოაჩინა თეატრის სპეციფიკის შესანიშნავად შემგრძნობი, მოაზროვნე მხატვარი. რომელმაც პირველივე სპექტაკლის გაფორმებით საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართულ თეატრში. მას შემდეგ ათეული წლების მანძილზე მისი შესანიშნავი ხელოვნება სათეატრო დადგმების წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად იქცა. არა მარტო ქართულ, არამედ მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის თეატრებშიც გაუფორმებია სპექტაკლები ელენე ახვლედიანს.

ეს ახალი გამოფენა. რომლის შესახებაც ზემოთ ვთქვით. მხატვარმა თბილისს მიუძღვნა. ეს გამოფენა ელენე ახვლედიანის კიდევ ერთი ლამაზი და მეტყველი სიმღერაა მშობლიურ ქალაქზე. მის სიძველეთა მომხიბლაობაზე თუ თვალწარმტაც სიახლეებზე, მის კოლორიტზე, იერზე. განუმეორებელ სახეზე. ასეთი სიმღერები. ახვლედიანისეული ჰიმნები. ახსოვს საქართველოს ყველა კუთხეს. მხატვრის სამშობლოს ყოველ კუნჭულს; და ეს ასეა, იმიტომ. რომ არ არსებობს კუნჭული, სადაც მხატვარს ფეხი არ დაედგას, სადაც არ განეცადოს ამა თუ იმ მხარისთვის დამახასიათებელი. მომაჯადოებელი სიმშვენიერე...

ვრცელზე ვრცელია ქართული პეიზაჟური სერიები, რომლებიც მხატვარმა შექმნა სხვადასხვა დროს. ეს სურათები შთამბეჭდავია თავისი მაღალი ოსტატობით და იმ თავისებური ხელწერით, რაც ელენე ახვლედიანის ნაწარმოებებს მუდამ გამოარჩევს ხოლმე.

ელენე ახვლედიანი ღრმად ეროვნული მხატვარია. ქართული სული, ქართული კოლორიტი მუდამ თან სდევს მის ყოველ ქმნილებას. მას საოცრად ეხერხება ხასიათის ჩვენება ფერებში, ხაზებში, კომპოზიციაში. მისი ფერწერული თუ გრაფიკული ნაწარმოებები მუდამ ხატოვანად. მკაფიოდ და მაღალპოეტურად წარმოგვისახავენ სინამდვილეს. ავიღოთ თუნდაც ნიმუშები მისი ბოლოდროინდელი გამოფენიდან: „თბილისი“ ამ გამოფენის ექსპონატების უდიდესი ნაწილი ბოლო ორ წელიწადშია შესრულებული. მათში ძალუმად იგრძნობა ალტაცება მშობლიური ქალაქის სიახლეებით. ამავე დროს. შემოქმედი ცდილობს აღბეჭდოს ის წარმავალიც, რომელიც დღეს თუ ხვალ გაქრება, მაგრამ მაინც თავისებურად საყვარელი და მომხიბლავია. ძველი თბილისის პატარ-პატარა მყუდრო უბნები, ერთმანეთზე მიჯრილი სახლები, ხავსმოდებული სახურავები, ვიწრო შუკები, პაწია ეზოები, კლდეზე წამოსკუპებული აივნიანი შენობები მხატვრის შემოქმედებაში უპირისპირდება ახალი თბილისის გაშლილ მხრებს, განიერ ავტომაგისტრალებსა და მონუმენტურ ნაგებობებს. მშობლიური ქალაქის ფართო, ამაყი სუნთქვა იგრძნობა მხატვრის ახალ ნაწარმოებებში, რომლებიც საოცრად გვიზიდავენ ხალასი ფერებით, ცხოველმყოფელობით, მათი ურთიერთშეხამების მშვენიერებით.

მხატვრის შემოქმედებაში მეტყველი ასახვა ჰპოვა უცხო ქვეყნებმაც, სადაც კი მას უსწავლია ან უმოგზაურია: პარიზი, ვენეცია, პრაღა... ჩვენი ქალაქები — მოსკოვი, ტალინი, როსტოვი ელენე ახვლედიანის ქმნილებებში წარმოგვიდგებიან სახასიათო არქიტექტურითა და ეროვნული იერით.

ელენე ახვლედიანს ბევრი აქვს გაკეთებული ბავშვებისათვისაც, დასურათებული აქვს საბავშვო წიგნები, ზღაპრები, გაფორმებული აქვს მრავალი სპექტაკლი მოზარდ მაყურებელთა თეატრში, იგი სიყვარულით მონაწილეობს იმ კინოფილმების შე-

ქმხაში, რომლებიც ბავშვებისთვი-საა განკუთვნილი.

დაუშრეტელია მხატვრის სწრაფვა — გამოეხმაუროს ჩვენი ცხოვრების ყოველ დღეს, აღმოაჩინოს ახალი და აღბეჭდოს იგი გატაცებით, მღელვარებით... რა ზუსტად და შესანიშნავად თქვა მხატვრის ძველმა და გულითადმა მეგობარმა, ჩვენმა სახელოვანმა მსახიობმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფარიძემ: „...მიდიან წლები. თმაშევერცხლილ ელენე ახვლედიანის სახეს დრომ თავისი დაღი დაასვა, მაგრამ ნიჭი მისი გაზარდა, აამაღლა, გააძლიერა. ამიტომ, მისი შემოქმედებაც, რაც დრო გადის, სულ უფრო ახალგაზრდავდება და მშვენიერდება“.

ლეილა თაგუკაშვილი.



შუკა ძველ თბილისში

# სწავლა და შრომა

ვლადიმერ გაგუა
დოცენტი

ცნობილია, რომ შრომამ შექმნა ადამიანი, — შრომით გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯი მაიმუნის გაადამიანების გზაზე. და მართლაც, შრომის გარეშე ადამიანს არ შეუძლია არსებობა, რადგანაც ადამიანისათვის საჭირო საგნები ბუნებაზე ზემოქმედებით იქმნება. სწორედ შრომა აძლევს ადამიანს იმ უდიდეს ძალას, რომლის საშუალებითაც იგი გარდაქმნის ბუნებას და მისთვის სასურველ გარემოს ქმნის. ამდენად, შრომა არის ყოველგვარი ადამიანური წარმატების აუცილებელი პირობა, — ადამიანური ბედნიერების წყარო. ამიტომაც ამბობენ, რომ ადამიანი და შრომა — ეს განუყრელი ცნებაა.

რაც კი დიდი და პროგრესული შექმნილა კაცობრიობისათვის, — ადამიანის ტიტანური შრომის ნაყოფი ყოფილა. აი, თუნდაც დღეს, რითაც ჩვენ ვხარობთ და ვამაყობთ — ჩვენი ხალხის გმირულმა შრომამ შექმნა და იმ დიადი მომავლის მიღწევასაც, — კომუნიზმის მიღწევასაც, მხოლოდ და მხოლოდ დაუღალავი შრომა შეგვაძლებინებს.

ჩვენს თაობას კომუნიზმის მშენებელ თაობას უწოდებენ. ეს საბჭოთა ახალგაზრდობის წინაშე დიდ ამოცანებს აყენებს; რომ შესძლო[illegible] ამოცანათა განხორციელება, კარგადაც უნდა ისწავლო და დაუღალავადაც იშრომო.

„შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, — წერდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, — მომავალი საზოგადოების იდეალი უიმისოდ, თუ ახალგაზრდა თაობის სწავლა ნაყოფიერ შრომასთან არ იქნება შეერთებული: ვერც სწავლა-განათლება ნაყოფიერი შრომის გარეშე, ვერც ნაყოფიერი შრომა პარალელური სწავლებისა და განათლების გარეშე ვერ იქნება აყვანილი იმ სიმაღლეზე, რომელსაც ტექნიკის თანამედროვე დონე და მეცნიერული განვითარება მოითხოვს“. ბავშვებო, თვით ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პიროვნება, ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენს თქვენთვის უპირველეს და ჭეშმარიტ მაგალითს!

სწავლა და შრომა!

შრომა და სწავლა!

აი, ის აუცილებელი პირობა, რომელიც თქვენ შეგაძლებინებთ ჩვენი დიადი საუკუნის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე იდგეთ.

მაგრამ ნურვინ ნუ წარმოიდგენს, თითქოს თქვენგან მოითხოვდნენ უცებ, ერთი ხელის დაკვრით რაიმე განსაცვიფრებელის შექმნას და ამთავითვე ყველაფრის ცოდნას. ეს რომ ასე იყოს, მაშინ თქვენ ლამანჩელი რაინდის გზას უნდა გაჰყვეთ და მასავით უმწეონი და სასაცილონი გახდეთ.

არა! თქვენ, სკოლის მერხიდანვე — დღეს, ხვალ, ზეგ, ყოველდღიურად უნდა დააგროვოთ ცოდნის მარაგი და ყოველდღიური შრომითი საქმიანობით დიდი საქმეებისათვის გამოიწრთოთ თავი. ამით თქვენ სარგებლობას მოუტანთ როგორც საკუთარ თავს — ასევე საზოგადოებასა და ქვეყანას.

შეიძლება ზოგიერთი თქვენგანი ფიქრობს: „მე ხომ კარგად ვსწავლობ, და საზოგადოებრივ შრომაში მივიღებ თუ არა მონაწილეობას, ეს მეორეხარისხოვანი საქმეა“. რა თქმა უნ-

**ბუნებამ გარჯა საჭიროდ გაგვიხადა, საზოგადოებამ მოვალეობად და ჩვეულებამ—სიამოვნებად.**

ბუასტი.

**უსაქმობა, ზარმაცობა გზაა სიკვდილისა, მღვიძარობა—სიცოცხლის გზაა.**

ბუდა.

და, ეს მცდარი აზრია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვიცნობთ ბევრ ისეთ ხუთოსან პიონერს, რომელიც განგებ არიდებს თავს ფიზიკურ შრომას. ზოგს ეს სიზარმაცით მოსდის, ზოგს კი, სავალალოდ, ესირცხვილება. მართალია, ხუთებსა და ოთხებზე სწავლა დიდი გმირობაა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. „შრომის გარეშე ადამიანს არ შეუძლია წინ სვლა, — წერდა კ. დ. უშინსკი, — მას არც ერთ ადგილზე გაჩერება შეუძლია, ის უკან უნდა წავიდეს“. და მართლაც, თქვენ რომ იცოდეთ, დამოუკიდებელ ცხოვრებაში ყოველთვის იმარჯვებს ის, ვინც კარგად სწავლობს და შრომისმოყვარეა. ხშირად ფრიადოსანი, უაღრესად ნიჭიერი მოსწავლე, მაგრამ ზარმაცი, შემდეგ ვერაფერს ქმნის, იგი თანდათან იფიტება, იმედს კარგავს, საშინელ პესიმისტად ხდება და ხანდახან იღუპება კიდეც.

სიზარმაცე მოწყენილობას, კარჩაკეტილობას, ეგოიზმს, შურს და სხვა უარყოფით თვისებებს ბადებს. გამოჩენილი ფიზიოლოგების ი. სეჩენოვის, ი. პავლოვისა და ი. ბერიტაშვილის გამოკვლევებით დადგენილია, რომ შრომა ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მომნელებელი, ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემის ნორმალურ მოქმედებას და საბოლოოდ განაპირობებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. შრომისმოყვარე ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, და პირიქით, არც ერთ ზარმაცს ღრმა სიბერემდე არ მიუღწევია. თქვენ ალბათ გაგიგონიათ 105 წლის ცნობილი აფხაზი მეჩაიე ქალი ხვაფუ ლასურიას შესახებ, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ ნორმას. ხედავთ, ბავშვობიდანვე შრომას მიჩვეული, 105 წლის ხვაფუ უშრომელად ერთ დღესაც ვერ ძლებს, შრომა მისთვის სიცოცხლისა და სიხალისის წყაროა.

შრომას პატარაობიდანვე ეჩვევა ადამიანი. თვითმომსახურება, საოჯახო შრომა თქვენ მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამზადებთ. საოჯახო შრომაში ერთნაირად უნდა მონაწილეობდეს გოგონაც და ვაჟიც. ზოგიერთი მცდარად ფიქრობს, საოჯახო საქმე გოგონას საქმეა და არა ვაჟისო. ვაჟს, რომელსაც სამხედრო სამსახური და რიგ შემთხვევაში მარტო ცხოვრება მოუწევს, არანაკლებად დასჭირდება საოჯახო შრომითი ჩვევები.

ზოგიერთი ახალგაზრდა არჩევს „ქალურ“ და „მამაკაცურ“ საქმეებს. ქალურ საქმედ მიაჩნია რეცხვა, გაუთოება, საჭმლის დამზადება, ოთახის დალაგება-დასუფთავება და სხვ. მამაკაცურ საქმეებად კი — შეშის დაჩეხვა, დაზიანებული ავეჯის შეკეთება, სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური საქმიანობა. მართალია, ქალსა და მამაკაცს მეტ-ნაკლებად ემარჯვება ესა თუ ის საქმე, მაგრამ მათ შორის პრინციპული სხვაობა არ უნდა იყოს.

ეთერი და ნოდარი და-ძმანი არიან. ეთერი მეშვიდე კლასშია, ნოდარი კი — მეხუთეში. ორივენი კარგად სწავლობენ. ეთერი პატარაობიდანვე ინტერესს იჩენდა საოჯახო საქმისადმი და ყოველდღიურად ეხმარებოდა დედას. ნოდარი კი ასე არ იქცეოდა. ის ფიქრობდა, რომ ოთახის დალაგება, დაგვა, დასუფთავება მისი საქმე არ არის. დედის მოთხოვნას ის უხალისოდ ასრულებდა. ნოდარი პიონერულ ორგანიზაციაში მიიღეს. მალე მის რაზმში ჩატარდა შეკრება თემაზე: „ვინ როგორ დაამზადებს სადილს“. პიონერებმა მოიტანეს სურსათი და ზოგმა ხორცის კერძი დაამზადა, ზოგმა ნამცხვარი გამოაცხო, ზოგმა სუფრა გაშალა. პატარა მზარეულებს კონსულტაციას პიონერხელმძღვანელი და მეოჯახეობის წრის ხელმძღვანელი უწევდნენ. სუფრასთან პიონერებმა მასწავლებლები და თავიანთი მშობლები მიიწვიეს. ნოდარმა და ზოგიერთმა მისმა ამხანაგმა თავი ვერ გამოიჩინეს და დარცხვენილები დაბრუნდნენ შინ...

ბავშვებო, თქვენს [illegible] მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს სასოფლო-სამეურნეო შრომას, ნარგავების, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობამ. ამის კარგი პირობებია სოფლად. ჩვენ ვიცით, რომ აქ მოსწავლეები ეხმარებიან მშობლებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. ბევრმა პიონერმა გაითქვა სახელი ჩაის კრეფაში, სიმინდის ალებაში, ყურძნის კრეფაში და სხვ. სკოლების სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებზე გულმოდგინე მუშაობით თქვენ შეიძენთ სასოფლო-სამეურნეო ცოდნას და ცხოვრებისათვის საჭირო შრომით ჩვევებს. მიწის ნაკვეთზე მუშაობა გვაყვარებს ბუნებას და აფართოებს ჩვენი ცოდნის სფეროს. სოფლად ბევრ მოსწავლეს მიჩენილი აქვს პატარა ნაკვეთი, სადაც მოყავს ბოსტნეული და უვლის ხეხილის ნარგავებს. ასეთი პრაქტიკა მოწონების ღირსია.

შრომის ჩვევების გამოსამუშავებლად აუცილებელია გარემომცველი ბუნების გაცნობა და მისი აქტიური დაცვა. ბუნება ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. სამართლიანად წერდა კ. დ. უშინსკი: „განა წყალი, მიდამო, ბუნება, ქალაქის მშვენიერი გარეუბანი, სურნელოვანი ხევი, მობიბინე მინდორი, ყვავილოვანი გაზაფხული და ოქროსფერი შემოდგომა არ იყვნენ ჩვენი აღმზრდელები?“

ბუნების სიყვარული აკეთილშობილებს და ალამაზებს ადამიანს. სწორედ ამიტომაც ჩვენმა პიონერებმა და მოსწავლეებმა გააშენეს მრავალი საზოგადოებრივი პარკი და ხეივანი, გაამწვანეს და გაალამაზეს ხრიოკი ადგილები. ბევრ პიონერულ რაზმეულში ჩამოყალიბებულია „მწვანე საგუშაგოები“, რომლებიც ფხიზლად დგანან ჩვენი ბუნების დაცვა-გამრავლების სადარაჯოზე.

სამწუხაროდ, ყველა პიონერი აქტიურად არ მონაწილეობს ამ საქმეში, ზოგი პირიქით, ზიანს აყენებს კიდეც მას. ბუდეს უნგრევს ფრინველს, ამტვრევს ხის ტოტებს და თხრის ნორჩ ნარგავებს, აფუჭებს გაზონებს. საჭიროა ასეთ მოსწავლეებზე მოვახდინოთ ზემოქმედება, გავკიცხოთ ისინი და ჩავაბათ ბუნების დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

თქვენ საწარმოო-ტექნიკური საქმიანობაც გიყვართ. ბევრი მოსწავლე ჩაბმულია პიონერთა სახლებისა და ნორჩ ტექნიკოსთა სახლების წრეებში, ბევრიც აქტიურად მონაწილეობს კონკურსში „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს!“ ასეთი სამუშაო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, ტექნიკისა და მეცნიერების სწრაფი განვითარების ეპოქაში.

ბევრი მოსწავლე კარგადაა დაუფლებული მოდელირებას, კონსტრუირებას, ხელსაწყოებისა და სათამაშოების დამზადებას. არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეთა ძალებით წარმოებს სკოლის მიმდინარე შეკეთება. მახარაძის მეორე საშუალო სკოლას რამდენიმე წელია სასკოლო შენობისა და ავეჯის შეკეთებისათვის ხელოსნები არ მოუწვევია და სახელმწიფო თანხები არ დაუხარჯავს. სკოლის ხელმარჯვე ოსტატები თვითონ აკეთებენ ყველაფერს.

თქვენს შრომით საქმიანობას უნდა ახასიათებდეს მაღალი კულტურა და გემოვნება. სოციალისტური შრომა კულტურული შრომაა. ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი წვრილი ხელოსნისაგან, პირველ რიგში, შრომის მაღალი კულტურითა და გემოვნებით განსხვავდება.

მუშაობის დროს კარგია თუ ჩაიცვამთ სამუშაო ტანსაცმელს. არ არის სავალდებულო გქონდეთ სამუშაო კოსტუმის სრული კომპლექტი. ის შეიძლება შედგებოდეს ხალათის, სამკლავეებისა და თავსახურავისაგან. ასეთი კოსტუმის დამზადება თქვენც შეგიძლიათ. სამუშაო ტანსაცმელი მუქი ქსოვილისაგან სჯობს შეიკეროს. საოჯახო საქმიანობის დროს საჭიროა თეთრი წინსაფარი. მუშაობის დამთავრების შემდეგ სამუშაო ტანსაცმელი უნდა გაწმინდოთ და შეინახოთ მიჩენილ ადგილას.

რომ ყოველდღიურად წარმატებით შეასრულოთ საშინაო დავალება, მონაწილეობა მიიღოთ საოჯახო და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, წაიკითხოთ კლასგარეშე ლიტერატურა, ნახოთ კინოფილმები, ითამაშოთ ტოლ-ამხანაგებთან, ისეირნოთ სუფთა ჰაერზე და, საერთოდ, ყველაფერი მოასწროთ, საჭიროა დღის რეჟიმის შედგენა და მისი მტკიცე დაცვა. რეჟიმი ყველასათვის ერთნაირი არ შეიძლება იყოს. კარგად მოფიქრებული და შედგენილი დღის რეჟიმი, გეგმიანი შრომის, ჯანმრთელობის, ორგანიზაციული ჩვევების, სიზუსტის, აკურატობისა და დისციპლინის გამომუშავების საწინდარია. ხოლო, როცა არ იცავთ რეჟიმს, დროს რაციონალურად არ გაანაწილებთ, თავს იჩენს იერიშობანა და ანარქია. ერთ საქმეს მოანდომებთ მთელ დროს და სხვა მხედველობის გარეშე დაგრჩებათ. უგეგმო, უსისტემო მუშაობას ყოველმხრივ უნდა ვებრძოლოთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიდი ადამიანების ცხოვრებისა და შრომის მაგალითები. ცნობილია, რომ კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი მაღალი დისციპლინისა და რეჟიმის დაცვის საუკეთესო ნიმუშებს უჩვენებდნენ.

შრომითი ჩვევების დაუფლების პარალელურად საჭიროა შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება. არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენს აღზრდაზე ფიქრობენ და ზრუნავენ თქვენი მშობლები, მასწავლებლები, უფროსი ამხანაგები, ისინი თქვენთვის ყოველგვარ პირობებს ქმნიან.

თითქმის ყველა თქვენგანს უნახავს, ალბათ, კინოსურათები „ცხოვრების საგზური“ და „პედაგოგიური პოემა“, რომლებშიც ასახულია ბავშვთა და მოზარდთა შრომითი კოლონიების საქმიანობა. ალბათ, გახსოვთ ამ ფილმების შინაარსი და მთავარი გმირები. მუსტაფა („ცხოვრების საგზური“) გზასაცდენილი, უსაქმური ახალგაზრდა იყო, იპარებოდა სხვადასხვა კოლონიებიდან და მოლიპულ გზაზე სიარულს განაგრძობდა. ბავშვთა გამასწორებელ კოლონიაში კარგად დაყენებულმა შრომითმა აღზრდამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მის ადამიანური ცხოვრების გზაზე დაყენებაში. მოვიგონოთ „პედაგოგიური პოემის“ გმირი სიმონ კარაბანოვი, რომელიც კოლონიაში მოსვლამდე პროფესიონალი ქურდი და მძარცველი იყო. ერთხელ კოლონიის ხელმძღვანელმა ცნობილმა პედაგოგმა ა. ს. მაკარენკომ დაიბარა იგი და დაავალა ორი ათასი მანეთის გამოტანა რაიონის საფინანსო განყოფილებიდან, თან მინდობილობა და რევოლვერი მისცა. ხოლო შემდეგ კარაბანოვის მიერ მოტანილი ფული მაკარენკომ დაუთვლელად კარადაში შეინახა. კარაბანოვს ენდო მაკარენკო, და ამან საოცარი ზეგავლენა მოახდინა მასზე. გარდა ამისა, კარაბანოვი და მისი ამხანაგები ჩაბმულნი იყვნენ ყოველდღიურ შრომით საქმიანობაში. სწორმა პედაგოგიურმა მიდგომამ, ახალგაზრდის პიროვნებისადმი პატივისცემამ, ნდობამ და, რაც მთავარია, შრომამ, კოლონისტები ცხოვრების ფართო გზაზე გაიყვანა. ისიც უნდა გითხრათ, რომ „პედაგოგიურ პოემაში“ აღწერილი ფაქტები სინამდვილეა. სიმონ კარაბანოვი (კალაბალინი) ამჟამად ცოცხალია და ხარკოვის ოლქის ერთ-ერთი საბავშვო სახლის დირექტორია. მისი ამხანაგებიდან ზოგი საბჭოთა კავშირის გმირია, ზოგიც მეცნიერი, ექიმი, ინჟინერი, მასწავლებელი და ა. შ. ყველა მათგანს შრომის კეთილმყოფელი კვალი ღრმად აჩნევია.

თავის დროზე უდიდესი გავლენა იქონია არკადი გაიდარის მოთხრობამ „თემური და მისი რაზმი“. სწორედ ამ წიგნის მაგალითზე შეიქმნა ნორჩ თემურელთა რაზმები, ამიტომ უნდა იკითხოთ ბევრი და ზოგიერთი გმირის სახე მაგალითად დაისახოთ.

იყავით ბეჯითნი და შრომისმოყვარენი, გვერდში ამოუდექით მშობლებსა და და-ძმებს კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში—ასეთია ყველა მოსწავლისა და პიონერის პატრიოტული და კეთილშობილური ამოცანა. ეს იქნება პარტიისა და მთავრობის ზრუნვაზე თქვენი პასუხი.

**დაუღალავი შრომა დაბრკოლებებს სძლევს.**

მ. ლომონოსოვი.

**შრომა—ეს არის ჭეშმარიტი კეთილშობილების ერთადერთი ტიტული! იგი — შემოქმედი ადამიანის ძალა და სიხარულია.**

რ. როლანი.

**ფიზიკური შრომა არა თუ გამორიცხავს გონებრივ საქმიანობას, პირიქით—მისი ნამახალისებელია.**

ლ. ტოლსტოი.



## გაზაფხული

შეხე, ბიჭო, გაზაფხული მოვიდა,
აპრილია, შეიკვირტა ხეები.
სიხარულით მეც სიმღერა მომინდა,
ბანს მაძლევენ ტყეები და ხევები.
იამ მკერდი დაუმშვენა ველ-მინდვრებს,
ენძელებმა თავი მორცხვად დახარეს:
დაგვიბრუნდნენ, დაგვიბრუნდნენ მერცხლები—
გაზაფხულის მობრძანება გვახარეს!



## დათუჩი

— დათუნია, დათუჩა,
ვინ აგიგდო აბუჩად?
— ფუღუროში მოვიპარე თაფლი,
— მერამდენედ?
— დათვლი?..
— სანამ გინდა სხვისი შრომით
თავის რჩენა, ბაჯბაჯავ?
ხომ ხედავ, რომ ციცქნა მწერმაც
დაგკბინა და დაგჯაბნა.

გელა გოდერძიშვილი,
თბილისის 112-ე საშ. სკოლის
IX კლ. მოსწავლე.



# ძველი სახლი

მარიკა ზღაპარაძე,
თბილისის
49-ე საშ. სკოლის IX კლ.
მოსწავლე.

ჩემი სახლი ლარივით გაჭიმულ ქუჩაზე დგას. უვითლად შელესილი შენობა არაფრით არ გამოირჩევა, გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას არ იპყრობს. მე კი ძალიან მიყვარს ჩემი ძველი სახლი, წვიმისაგან ჩამორეცხილი კედლებით და სალებავგადაცლილი ალაყაფის კარებით.

ჩვენი სახლის პირველ სართულზე საფუნთუშეა. ლოყებღაჟღაჟა, ჩასუქებული ძია ვანო ყოველ დილით გვეგებება მე და გუგას, ღიმილით ჩაგვიკრავს თვალს და ჩვენთვის საგულდაგულოდ გადანახულ თეთრ პურს დახლის ქვეშიდან ამოაძვრენს.

გუგა ჩემი კარის მეზობელია. მან წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ახლა უმაღლესში შესასვლელად ემზადება. დილით, როცა მის ფანჯარას ჩავუვლი, გუგა წიგნით ხელში ბოლთას სცემს და თავისთვის ბუტბუტებს.

მე სამჯერ ვაკაკუნებ ფანჯრის მინაზე. გუგა მოიხედავს, გამიღიმებს, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ კიბეზე ჩარბენაში ვეჯიბრებით ერთმანეთს და ქოშინით შევრბივართ ძია ვანოსთან.

ზაფხულის ცხელი დღეა. ოფლში გაწურული ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. გოგონები ეზოში მდგარი ერთადერთი ხის ჩრდილქვეშ შეფარებულან. რაღაცაზე იცინიან. მე და გუგა აივანზე ვსხედვართ. მე ფიზიკის წიგნი მაქვს გადაშლილი, გუგა ნიუტონის კანონზე ლაპარაკობს. უცებ, მეზობელ ოთახიდან მაგნიტოფონის გამაყრუებელი ხმა მოისმა. იმ ოთახში ზურიკო ცხოვრობს. ის მეორე კურსის სტუდენტია. ახლა არდადეგები აქვს და „ტვისტებით" ერთობა.

— ზურა, ცოტა ჩაუწიე, — უყვირის გუგა.

— „ტვისტ აგეინ", — ღრიალებს ზურიკო, მუსიკის ტაქტს ტაშისცემას აყოლებს და ფეხებს აბარტყუნებს.

— ზურა, დაყრუვდი თუ რა მოგივიდა! — გამყვირის გუგა. გაღიმებული ზურა ფანჯრიდან გადმოგვხედავს, ღიმილი უცებ უქრება და მაგნიტოფონს უფრო უწევს.

— დაყრუვდა, — ვასკვნით მე და გუგა.

საღამოს ეზოს ბავშვები ფუნიკულიორზე წასასვლელად ემზადებიან. აივანზე ვდგევარ და ეზოში ვიცქირები. ვიღაცამ თვალებზე ხელი ამაფარა.

— გუგა ხარ, — ვიცინი მე,— ზურიკო?!

— ხო. შენ რა, არ მოდიხარ ფუნიკულორზე? — მეკითხება ზურა.

— არ ვიცი.

— აბა ვინ იცის? ალბათ გუგამ, არა?

— რა გინდა ზურიკო ჩემგან?—ვეკითხები და ზურგს ვაქცევ.

— შენგან? შენგან არაფერი. ვისგანაც მინდა — ის მალე გაიგებს, — მუქარით ამბობს ზურა და მიდის.

— „ნეტა ვისზე ბრაზობს ზურა? — ვეკითხები ჩემს თავს, — ალბათ — გუგაზე. ხო, უსათუოდ გუგაზე ბრაზობს. მაგრამ, რატომ? განა გუგას მისთვის დაუშავებია რამე?"

გუგასთან მივდივარ. ის დივანზე ზის, ხელში წიგნი უჭირავს და ბურტყუნებს. ხელით მანიშნებს, — დაჯექიო. თვითონ კი ბურტყუნს განაგრძობს.

— „ნეტა რატომ ემუქრება ზურა გუგას? ხომ შეიძლება სადმე შეხვდეს და სცემოს, ზურა დიდია და მოერევა".

შევცქერი გუგას მხრებს, — არა, გუგას განიერი მხარბეჭი აქვს. თანაც მოფარიკავეა. ზურა ვერ მოერევა გუგას.

— შენ, — მუჭლუგუნს ვკრავ, — იქნებ ყურადღება მომაქციო.

ის არ მიყურებს, თავს მიქნევს და ბურტყუნებს.

— გუგა! — ვუყვირი მე.

გუგა შეკრთება და გაკვირვებული შემომცქერის.

— რა გაყვირებს?

— გუგა, დღეს ჩემთან ზურა იყო.

— ვინ? — მეკითხება გუგა და წიგნს გვერდზე დებს.

— ზურა.

— მერე?

— ფუნიკულორზე წავიდეთო.

— მერე?

— არა-მეთქი — ვუთხარი და ეწყინა.

— მერე?

— მერე, დამემუქრა, გუგას შევხვდები და მოვუვლიო.

— მერე?

— რა მერე? — ვბრაზდები მე, — მერე, სადმე შეგხვდება და მიგბერტყავს.

გუგა ჩუმად ზის, ერთ წერტილს მისჩერებია, თითქოს სულ დაავიწყდაო ჩემი არსებობა.

— გუგა, — მხარზე ხელს ვადებ, — გუგა, წავიდეთ ფუნიკულორზე.

ხმას არ იღებს.

— ზურაზე ფიქრობ? ზურა კარგი ბიჭია, ხმას არ გაგცემს, — ვამშვიდებ მე, თუმცა სულაც არ მჯერა ზურას კარგობა.

— ხოდა, წასულიყავი „კარგ ბიჭთან" ერთად, დაგიშალე თუ? — უყვირის უცებ გუგა.

თავჩაღუნული ვზივარ.

ის ერთხანს მიყურებს, შემდეგ წყნარად მეუბნება:

— წავიდეთ, მაია, ფუნიკულორზე.

●

დილაობით მზის სხივები ადრე მოადგება ხოლმე ჩემს საწოლს. მე ზანტად ვახელ ჯერ ერთ თვალს, შემდეგ — მეორეს. ახლაც გაანათა ჩემი ოთახი მზემ. გამეღვიძა. მეზობელ ოთახიდან ზურას დედის ყვირილი მომესმა, სულგანაბულმა მივუგდე ყური,

— ხულიგანი, ბანდიტი! მე მოვიყვან ქუჩაზე მაგას, მილიციას რომ გამოვიძახებ...

— გაჩერდი, დედა.

— გავჩერდე? შეხედე შენს დალურჯებულ თვალს და გასიებულ ცხვირს. გავჩერდე? მე სხვანაირად გავჩერდები.

„ნუთუ გუგამ?!." — ვეკითხები ჩემ თავს და სწრაფად ვიცვამ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მე და გუგა დინჯად მივუყვებით კიბეს.

— გუგა!

— რა, მაია?

— ზურა ვიღაცას უცემია, — ვეუბნები და თვალებში შევცქერი.

—მართლა? ნეტავ ვინ სცემა? — ამბობს გუგა და თვალს მარიდებს.

— ტუჩზე რა მოგივიდა, გუგა?

— კარს მივახეთქე ამ დილას, — მპასუხობს ის.

— გუგა, — ვეუბნები და წინ ვუდგები, — რატომ სცემე ზურა?

— მე? — გაოცებული შემომცქერის.

— ხო, შენ.

— მე არა, მაია. თვითონ დაიწყო და...

— არ უნდა გეცემა.

●

ჩემი სახლი არაფრით არ გამოირჩევა და არც ყურადღებას იპყრობს. მე კი მაინც მიყვარს ჩემი ძველი, კედლებჩამორეცხილი და შიგდაშიგ სალებავ გადაცლილი ჩემი ძველი სახლი. მიყვარს იმიტომ, რომ აქ დავიბადე, პირველად ავიდგი ფეხი და პირველი სიტყვა ვთქვი... მიყვარს იმიტომაც რომ აქ გუგა ცხოვრობს. აი, ახლა საფუნთუშეში შევალთ მე და გუგა. ძია ვანო გაგვიღიმებს, თვალს ჩაგვიპაჭუნებს და ჩვენთვის საგულდაგულოდ გადანახულ თეთრ პურს დახლის ქვეშიდან ამოაძვრენს.

## ანდაზები

ადამიანის გარეგნულად დაბერება არაფერია, ოღონდ სულით არ დაბერდეს.

ადამიანისა უნდა შეგშურდეს არა ძვირფასი ნივთები, არამედ ადამიანობა.

მრავალნაირად გამოსცადე ამხანაგი, დააკვირდი მის ხასიათს და მხოლოდ ამის შემდეგ იგულე იგი მეგობრად.

იშრომე და ნურასოდეს ნუ იფიქრებ — შეიძლება არ დამიფასდესო.

ადამიანს შენი კი არ უნდა ეშინოდეს, არამედ ერიდებოდეს...

ჩაწერა აბაშის რაიონის ნაესაკოვოს საშუალო სკოლის VI კლ. მოსწავლემ ნუნუ კუჭუხიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზამთარი

თოვლი მოდის,
ბარდნის,
ბარდნის,
მთა და ბარი დათოვა.
თოვლის პაპა გააკეთა
პაწაწინა დათომ.

აქეთ — გია,
იქით — რეზო,
გუნდაობა გაჩაღდა.
ერთი გუნდა პაპას მოხვდა,
მისგან არა დარჩა-რა.

აღრიალდა დათო ბიჭი:
— რას ერჩოდით პაპასო,
ერთი მითხარ, უმაგისოდ
ვინ მოიყვანს ზამთარსო!

მერაბ ძერძენჯია,
თბილისის 61-ე სკოლის III კლ. მოსწავლე.

## აპრილი

ვახტანგ ხარჩილავა,
წალენჯიხის რაიონის სოფ. ობუჯის
საშ. სკოლის IX კლ. მოსწავლე.

დამისველდება თმები წვიმებით,
ყვავილის ნაჟურს დავეხარბები,
კლდეზე აპრილი, ვით ხარირემი,
დგას მოხატული თეთრი ხალებით.

და მოელვარე ყვავილებს ბავშვი
ეალერსება გრძელი თითებით.
ფერების ზღვაში, ვარდების ზღვაში,
აპრილს ჩაუდგამს თეთრი ჩლიქები.
ლამაზ გაზაფხულს, ვით ნემეზიდას,
ნუშების გაშლილ მკლავებზე სძინავს,
ზეციდან, მზიდან და ხეებიდან
უნაზეს ჰანგად წკრიალებს წვიმა.
მზე მოაქვს, როგორც ნანადირევი,
ხასხასებს მიწის მწვანე ხავერდი...



ყვირის აპრილი, ვით ხარირემი,
ტანმოხატული თეთრი ხალებით.

# თუნთია

ვლადიმერ კოკაია,
თბილისის 26-ე საშ. სკოლის
VII კლასის მოსწავლე.

შარშანდელი ზაფხული სოხუმში გავატარე, ბებიასთან. ლამაზი ქალაქია სოხუმი. ვიყავი ბოტანიკურ ბაღში, ზოოპარკში, დავდიოდი ზღვაზე და მდინარე გუმისთაზე... სწორედ ამ მდინარეზე შემემთხვა ერთი საინტერესო ამბავი...

ჩვენს მეზობელს ჰყავდა ძაღლი, რომელსაც თუნთიას ეძახდნენ (თუნთი მეგრულად ნიშნავს დათვს, ხოლო თუნთია — დათვიას). ისეთი ბეწვი ჰქონდა, რომ იფიქრებდით — ომის საპარსი მანქანით გაუპარსავთო. ყურები წაჭრილი ჰქონდა, კუდი — მუდამ მომშვილდული. თუნთია ნადირობდა კურდღლებზე, ვირთაგვებზე და თაგვებზე. კურდღელს რომ დაიჭერდა, მაშინვე პატრონს მიურბენინებდა. ხოლო ვირთაგვას ან თაგვს რომ დაიჭერდა, სადმე შორს წაიღებდა, თათებით ორმოს ამოთხრიდა, შიგ ჩააგდებდა, მიწას წააყრიდა და უკან გამობრუნდებოდა. ჩვენ, ბიჭებს, თუნთია ზოგჯერ კურდღლებზე და მწყერებზე სანადიროდ მიგვყავდა. უკან გამობრუნებისას თითოეულს ათი-თხუთმეტი მწყერი გვეკიდა. კაპიტონის — თუნთიას პატრონის — სახლს რომ ჩამოვუვლიდით, ფეხაკრეფით გამოვიძურწებოდით ხოლმე, რადგან გვეშინოდა — არ დავენახეთ და ნანადირევში წილი არ დაედო, აქაოდა ჩემი ძაღლიც გეხმარებოდათო.

ბებიაჩემი ამბობდა: ჩემს წიწილებს სული თუნთიათი უდგიათო. ასე იმიტომ ამბობდა, რომ თუნთიამ ჩვენს ეზოში სულ გაწყვიტა ვირთხები, რომლებიც წიწილებს ჭამდნენ.

გახარებული ბებიაჩემი ყოველი ვირთხის დაჭერაზე პურის ნატეხს გადაუგდებდა თუნთიას. მანაც მოუხშირა ვირთხების ჭერას. ბოლოს თუნთია ისე შემოგვეჩვია, რომ პატრონთან წასვლას აღარ ფიქრობდა.

გაბრაზებული კაპიტონი პირდაპირ ცოფს ჰყრიდა და ასე გვეუბნებოდა:

— ამაში თქვენა ხართ დამნაშავე. ძაღლს პურს აჭმევდით და, შემოგეჩვეოდათ, აბა რას იზამდა. ამის შემდეგაც თუ მოვიდეს — „პაშოლ თუნთია-თქო“ — დაუყვირეთ და პურის მაგივრად ქვები ესროლეთ.

ჩვენ „პატიოსნად“ ვასრულებდით კაპიტონის „ბრძანებას“, მაგრამ თუნთია არაფრით არ შორდებოდა ჩვენს სახლ-კარს. ერთ დღეს განაწყენებულმა კაპიტონმა ხელი ჩაიქნია, — „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“ — ჩაიბურტყუნა და ჩამოგვეხსნა. თუნთია ჩვენთან დარჩა. იგი ღამ-ღამობით დარაჯობდა სახლ-კარს. უცხო ადამიანს ან სხვის საქონელს არ ჩამოუშვებდა ეზოში. ბებიაჩემი ძალიან კმაყოფილი იყო.

ერთხელ ბავშვებს გუმისთაზე წავყევი. თუნთიაც წავიყვანეთ. მალე მივაღწიეთ მდინარეს. გუმისთა ჩქარი მდინარეა, არაგვზე ჩქარი. შიგ ლოდს რომ ჩააგდებ, ფსკერზე დაეცემა, მაგრამ იქვე კი არ დარჩება, არამედ წყლის ჩქარი დინება მას



მრეკლე ფარჯიანი,
მესტიის მე-2 საშუალო სკოლის
IX კლასის მოსწავლე.

უშბა

რამდენიმე მეტრზე წაიღებს და შემდეგ გაჩერდება.

ტანთ გავიძრე და წყალში გადავეშვი. ცურვა კარგად ვიცი. თან გამომყვნენ ვახტანგი, თამაზი, ნუგზარი და გენადი. მეორე ნაპირზე თხუთმეტი წუთი დავრჩით და ისევ უკან გამოვცურეთ. მთლად გალურჯებულები ვიყავით, კბილები გვიკაწკაწებდა — გუმისთა ძალიან ცივი მდინარეა.

— ღუტუნა, გინდა მორევი გაჩვენო? — მითხრა ვახტანგმა.

— კარგი, წავიდეთ, — ვუპასუხე მე.

მდინარის დინების მიმართულებით წავედით. ხუთი წუთის შემდეგ შევჩერდით. — შეხედე! — მითხრა მან და ხელი მდინარისაკენ გაიშვირა. მე დავინახე წყალი, რომელიც საოცარი სისწრაფით ტრიალებდა.

— იცოდე, ამ ადგილას არ იბანაო, თორემ დაიხრჩობი, — გამაფრთხილა ვახტანგმა.

— ერთი შენც, მე ისეთი ცურვა ვიცი, მორევი რას დამაკლებს, — აგდებულად ვუპასუხე მე. ვახტანგმა ხმის ამოღება ვერ მოასწრო, რომ წყალში გადავეშვი და მდინარის შუაგულში, მორევისკენ გავცურე. როცა მორევს მივუახლოვდი, ვახტანგს დაცინვით გავძახე: — უყურე, ამ შენს მორევში შევცურავ და ვნახოთ... ვნახოთ, როგორ დამახრჩობს.

მორევში შევცურე. წყალმა საშინელი სისწრაფით დამატრიალა და ჩამითრია. ვეცადე, მორევისაგან თავი დამეღწია, მაგრამ ვერას გავხდი. თავბრუ დამეხვა, სუნთქვა შემეკრა და პირი გავაღე. ჰაერის მაგივრად წყალი ჩავყლაპე, შემდეგ კი არაფერი აღარ მახსოვს...

როცა გონზე მოვედი და თვალები გავახილე, ჩემს გვერდით დავინახე: ვახტანგი, თამაზი, ნუგზარი, გენადი და... თუნთია! ყველანი მშრალები იყვნენ, ხოლო თუნთიას წურწურით ჩამოსდიოდა წყალი.

— გმადლობთ, ბიჭებო! — ძლივს ამოვილუღლუღე.

— აგერ, თუნთიას გადაუხადე მადლობა, ამან გამოგიყვანა მორევიდან, — მითხრა ვახტანგმა. რომელსაც ნამტირალევი თვალები ჰქონდა.

— ჰაა?! — წამოვიძახე გაკვირვებით და თუნთიას გადავხედე.

თუნთია კი თავისი ჭკვიანი თვალებით მშვიდად შემომცქეროდა.

## ნანა

სულ ტირის და ჭირვეულობს
პაწაწინა ნანა:
— არ მინდაო თმის დავარცხნა,
და არც პირის ბანა.

ნანამ უცებ თვალი მოჰკრა—
თათს ისვამდა ფისო...
დედამ უთხრა: შეხე, შვილო,
ფისოც იბანს პირსო.

ნანას ლოყა აუწითლდა,
შერცხვა, მერე როგორ!..
იმ წუთს პირი დაიბანა,—
გალამაზდა გოგო.

ციალა ნიკოლეიშვილი,
დაბა ვანის გ. ტაბიძის სახელობის
საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე.

## ნაკადული

მიჩხრიალებ ბილიკ-ბილიკ,
რა გაქვს ბარად დაკარგული?
მიჩხრიალებ ასკინკილით
პაწაწინა ნაკადული!

მიჩხრიალებ, შე დიდგულავ,
მუდამ ცელქი, მოცინარი,
კლდეზე ისე დაკიდულხარ,
როგორც ჭაზე ოწინარი.

რას ჩურჩულებ, საყვარელო,
გააგონე იებს—ნაზებს,
ხმას შეგიწყობს მთა და მდელო,
გაგამხნევებს ამ დიდ გზაზე.

იჟღურტულე, ხმაწკრიალავ,
წინ მდინარე გელის მღვრიე,
შენი სრბოლა მწამს კი არა,
მიყვარს, მიყვარს თავზე ძლიერ.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი,
ვანის რაიონის სოფ. ქვედაგორის საშ.
სკოლის XI კლ. მოსწავლე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

### მოთმინება

სესილი და ნანსი ტყეში წავიდნენ. იქ სოკო დაკრიფეს, კალათები გაავსეს და შინისაკენ გამოეშურნენ.

გზაში ბავშვები ძლიერ დაიღალნენ. ნანსმა თქვა:

— ცოტა შევისვენოთ, მეტი სიარული აღარ შემიძლია.

სესილი კი პირიქით, მშვიდად განაგრძობდა გზას. ნანსს გაუკვირდა მეგობრის საქციელი და აღელვებულმა ჰკითხა:

— ნუთუ შენი კალათი მძიმე არ არის?

— დიახ, მძიმეა, —უპასუხა სესილმა, —მაგრამ მე მასში ისეთი მცენარე ჩავდე, რომელიც ტვირთს შესამჩნევად მიმსუბუქებს.

— რა ჰქვია მაგ მცენარეს?

— მოთმინება, — წყნარად მიუგო სესილმა.

### გამოცდაზე

მასწავლებელი — როგორ გამოვიცნოთ სოკო შხამიანია თუ არა?

მოსწავლე — სრულიად უბრალოდ: შევჭამთ სოკოს და დაველოდებით.

### ანგარიში

მასწავლებელი — წარმოიდგინე, მარტინ, ამხანაგმა მოგცა ათი კალამი, ხუთიც მე დაგიმატე. რამდენი გექნება?

მარტინი — თხუთმეტი.

მასწავლებელი — შენ ჩაიდე შენი თხუთმეტი კალამი ჯიბეში და დაგეკარგა, რა დაგრჩება?

მარტინი — გახეული ჯიბე, მასწავლებელო.

### საათი

— არ ვიცი რატომ გაჩერდა ჩემი საათი, —უთხრა მამამ დედას.

— მესაათეს წაუღე, იქნებ გასაწმენდია, —უთხრა დედამ.

— ოჰ, არა, მამიკო, —წამოიძახა პატარა ელიზამ, არა მგონია გასაწმენდი იყოს. ამ დილით მე იგი წყლით სავსე თასში გავრეცხე.

ფრანგულიდან თარგმნა
ნათელა შაქრიაშვილმა.




## გულქან ხოლუაშვილი

XVIII საუკუნე განსაკუთრებული ძნელბედობის ხანაა ქართველი ხალხის ისტორიაში. გარეშე მტრების თარეშით შეწუხებული იყო მთელი ქვეყანა. საქმე იქამდე მივიდა, რომ უიარაღოდ კაცის სახლიდან გარეთ გასვლა საშიში იყო, ან, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „ის დრო ხომ იცით, კაცს მარტო გარეთ არ გაესვლებოდა".

სწორედ ამ საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის სოფელ ტეზერში, გაზაფხულზე, მინდვრად გასულ გლეხს — ხოლუაშვილს, რომელსაც მისმა ცოლმა გულქანმა სადილი მიუტანა, თავს დაესხა ლეკთა ბრბო. ხოლუაშვილმა თოფი აიღო და ხანჯალიც იმარჯვა, მაგრამ მტრის გუნდს, რომელშიც 30 კაცი შედიოდა, აბა რას დააკლებდა, — იგი ბრძოლაში დაიჭრა და ყვირილი მორთო. ლეკებმა დრო იხელთეს და ოცი წლის გულქანი, თავისი ძუძუმწოვარა ბავშვით, გაიტაცეს. გზაში ბავშვი მოუკლეს, ქალი კი ტყვედ მიიყვანეს დაღესტანში. ლამაზი ქალი გულქანი ალბათ რამდენჯერმე გაყიდეს და იყიდეს. იგი 40 წელიწადს იყო ტყვეობაში. ბოლოს, გმირული სულით აღსავსე მოხუცმა ქალმა, სადღაც გამონახა თავისნაირი ტყვე ქალი, შეაგონა მას სამშობლოში გაპარვის აუცილებლობა, ხელთ სატევარი აიღო და ფეხით გადმოლახა დაღესტნისა და საქართველოს მთები, კითხვა-კითხვით მოაღწია თავის სოფელ ტეზერამდე.

რა გამძლეობა, სულის რა სიმტკიცე, სამშობლოს როგორი სიყვარული უნდა ჰქონოდა გულქან ხოლუაშვილს, რომ მოხუცებულობის ჟამს შორეული დაღესტნიდან თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო!

გულქან ხოლუაშვილის ეს ტრაგიკული, და თანაც გმირული, თავგადასავალი 1891 წელს, სოფლის მასწავლებელმა და ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შემკრებმა სამსონ საბაშიოელმა (დონლაძემ) ჩაიწერა თვით გულქანის ღვიძლი შვილის — გიგოლა ხოლუაშვილისაგან. საბაშიოელს ჩანაწერი გადაუცია ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის" რედაქციისათვის. გაზეთმა ეს მასალა იმ წლის 15 თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა.

აი, ეს გადმოცემაც (მოგვყავს შემოკლებით):

„დედაჩემი გულქანი მაღალი, წარმოსადეგი დედაკაცი იყო. ეშხიანი პირისახე ჰქონდა და ლოყები წითელი თურაშაული ვაშლივით ჰქონდა დაბრაწული. გულქანი მუდამ ქმართან იყო და მუშაობდა, რადგანაც სახლში ლეკების შიშით მარტო ვერა რჩებოდა. ერთხელ გულქანი ქმართან იყო მინდვრად გასული და ქერსა მკიდა. ამ დროს აქ ჰყავდა იმას წლისა და ნახევრის მესამე ვაჟიშვილი. შუადღისას დაეცა მამაჩემს ოცდაათი ლეკი, მოსტაცეს ლამაზი ცოლი, პატარა ბავშვითურთ, და გაიტაცეს. მამაჩემმა ბევრი იყვირა თურმე, ბევრი იღრიალა, მაგრამ დროზე არავინ მიეშველა.

მგზავრობის დროს ლეკებმა ერთხელ ტყეში დაისვენეს და დაღალულები ღრმა ძილს მიეცნენ. ამ დროს დაღონებული გულქანი ლეკთა შუა თავისუფლად იჯდა, ბავშვს ძუძუს აწოვებდა და მდუღარე ცრემლები ჩამოსდიოდა ლოყებზე. რაკი ნახა საცოდავმა ტყვემ, რომ ლეკებს გულიანად სძინავთო, ადგა, ფეხაკრეფით, ნელ-ნელა ლეკებს მოშორდა, კარგა გზა გაიარა ტყეში, ერთი დიდი, გაფოთლილი, გვიმრით გაბურდვნილი ჩირგვი იპოვა, შეძვრა იქ და ბავშვითურთ სული გაკმინდა.

ამასობაში ლეკებმა გამოიღვიძეს და ელდა ეცათ, რაკი შეიტყეს, რომ ქალი აღარსად არის და გაპარულაო. ოცდაათმა კაცმა ტყეში დიდხანს იარა და ძლივს მიაგნეს დამალულს დედაჩემს. აქედან რომ წავიდნენ, გულქანი ძალიან დაიღალა, მუხლები მოეკვეთა და ბავშვიანად გზაში ჩაჯდა. ლეკებმა გულქანის დაღალვა ბავშვის ტარებას დააბრალეს, გამოართვეს შვილი და თვითონ მიჰყავდათ, მაგრამ ბავშვი დედას ხედავდა, უცხოს ხელში ხმამაღლა ტიროდა. ბავშვის ტირილზე ლეკებს გული მოუვიდათ, აიყვანეს გასუქებულ-გაფითქინებული ბავშვი და კვერცხივით დაარტყეს და დაანარცხეს დედამიწაზედ დედის თვალწინ. გულ-დაწყვეტილი დედა მივარდა შვილს, კრუხივით გადაეფარა, მიიკრა გულში, მაგრამ ამაოდ, ბავშვმა საჩქაროდ სული დალია დედის კალთაში...

გულქანი ორმოცი წელი დარჩა ლეკებში. ამ დროის განმავლობაში ათჯერ გაჰყიდეს და იყიდეს ლეკებმა, რადგანაც ვერც ერთი მყიდველი ვერა სარგებლობდა იმის სიყვარულით და ყმაწვილი ქალი არავის იკარებდა ახლოს.

როდესაც სამოცი წლისა გახდა და მოხუცებაში შევიდა, სამსახური და შრომა აღარ შეეძლო. ამისათვის გაათავისუფლეს და ხელშეუშლელად დადიოდა აქეთ-იქით ლეკთა სოფლებში. ქართული ლაპარაკი თითქმის დაავიწყდა და ლეკურად ლაპარაკობდა. სიარულისა და ხეტიალის დროს მუდამ იმას ფიქრობდა, როდის მეღირსება გავიპარო როგორმე და სახლში წავიდეო. ბოლოს, იპოვნა ერთი მგზავრი მოხუცი, გამოიპარა და დიდი წვალებისა და სიარულის შემდეგ მოვიდა თავის სოფელ ტეზერში, მოვიდა იმ სახლში, სადაც იმისი ქმარი ცხოვრობდა, დაუძახა მოსახლეს ქართულად, ლეკური კილოთი. ამ ძახილზე გამოვიდა ოჯახიდან ერთი დედაკაცი და შეეკითხა:

— ვინ ხარ და რა გნებავსო?!

გულქანმა ბინა სთხოვა ღამის გასათევად. დედაკაცმა შეიკედლა. დაღამდა. მამაჩემიც დაბრუნდა სამუშაოდან, ვახშამიც ჭამა და სტუმარსაც აჭამა. ვახშმობის შემდეგ მამაჩემის ცოლმა ლოგინი დააგო, ბავშვებიც დააწვინა და თითონაც მიიძინა. მამაჩემმა და მგზავრმა ქალმა ნავახშმევს საუბარი გამართეს და ამ საუბარში ერთი-ერთმანეთს საკუთარი თავგადასავალი უამბეს. ამ ლაპარაკით მამაჩემი დარწმუნდა, რომ ეს მგზავრი ქალი იმისი წინანდელი ცოლი გულქანი იყო, ის გულქანი, რომელიც ორმოცი წელიწადია ლეკებმა მოიტაცეს და დაიკარგა ბავშვიანად. მიხვდა კი, მაგრამ თავი შეიკავა, აღარაფერი თქვა, რადგანაც მეორე ცოლი ჰყავდა და თავი სიჩუმეს მისცა. გულქანს ამ დროს გული უწანწკალებდა და ძაგა-ძუგი გაჰქონდა, იგი გაჩუმებული იყო და აღარაფერს ამბობდა.

მოთმინებას ბოლო მოეღო. კვარიც ის-ის იყო კერაზე ჩაქრობას აპირებდა. ვეღარ აიტანა, გულქანს ტირილი ამოხდა გულიდან, გადაეხვია და შესძახა: ნუთუ ვეღარ სცნობ შენს გულქანს, შენ საყვარელ ცოლს გულქანსო?

ამ სიტყვებზე მამაჩემსაც გული გადმოუქანდა და ამანაც ტირილი დაიწყო".

აქ მთავრდება ტეზრელი ქალის — გულქან ხოლუაშვილის ტრაგედია.

გულქან ხოლუაშვილის პატიოსნება, ვაჟკაცური სული, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული პატრიოტიზმის იშვიათი მაგალითია.



ვახტანგ სიდამონიძე.

მხატვარი იური ქლიბაძე.



# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?

## პასუხი 1965 წლის № 12-ში მოთავსებულ კითხვებზე

თბილისიდან დასავლეთით, 20 კმ. დაშორებით, მდ. ვერას ტყით დაფარულ ხეობაში მდებარეობს შუასაუკუნეების შესანიშნავი ძეგლი — ბეთანიის მონასტერი, რომლის აშენების თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ მშენებლობის სტილის მიხედვით მას XII ს. ბოლოთი და XIII ს. დასაწყისით ათარიღებენ.

გზა თბილისიდან ბეთანიისკენ წყნეთზე გაივლის და შემდეგ ვიწრო ბილიკი მიემართება ხეხილის ბაღებსა და დაბურულ ტყეზე. აქედან 3-4 კმ. სავალზე პატარა მდინარის მარცხენა ნაპირის ამაღლებულ ბორცვზე აგებულია ხუროთმოძღვრების ეს ლამაზი ძეგლი, გალავნითა და პატარა დარბაზული ეკლესიით. ამ უკანასკნელის აგების თარიღი, 1196 წელი, აღნიშნულია იმ სამშენებლო წარწერაში, რომელიც ეკლესიაში ახლაც იკითხება. გვიან ხანებში აქვე აუგიათ საცხოვრებელი სახლიც.

აღნიშნული ეპოქის გუმბათოვან ნაგებობებს აერთიანებს გეგმის და შიდა სივრცის გადაწყვეტის ერთნაირობა. მათ სამეცნიერო ლიტერატურაში თამარ მეფის ეპოქის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს უწოდებენ. ეს ძეგლები გეგმით კვადრატს უახლოვდებიან, მხოლოდ დასავლეთის მკლავი ოდნავ გაგრძელებულია. ეს ძეგლები თავიანთი წინაპრებისაგან განსხვავდებიან შედარებით ნაკლები სიდიდითა და ფასადების მხატვრული გაფორმებით. ბეთანიის ეკლესიის ფორმა ჯვრისებურია, ჯვრის მკლავები ამაღლებულია, გუმბათი მას მაღალი აქვს, საკურთხევლის კედელი ჩაწერილია სწორკუთხედში. გუმბათი ეყრდნობა აფსიდის კედლის შვერილებს და დასავლეთით მდებარე კედლიდან გამოყოფილ ორ სვეტს.

ბეთანიის ეკლესიის მშვენებაა ცილინდრული ფორმის გუმბათის ყელი, სადაც 12 სარკმელია განლაგებული. თვითეულ მათგანს მაღალი ოსტატობით და ნატიფი გემოვნებით შესრულებული ჩუქურთმიანი არშია შემოსდევს. ისინი შემოსაზღვრულია გრეხილლილვოვანი თაღებით. ეკლესიის შესასვლელი (კარიბჭე) სამხრეთის ფასადზეა მიშენებული, რასაც ერთგვარი ცვლილება შეაქვს ფასადების გაფორმებაში. იგი გადახურულია ვარსკვლავისებური თაღით.

ტაძრის შიდა, მაღალი და თავისუფალი სივრცე კარგადაა განათებული გუმბათის ყელის ფანჯრებიდან შემოსული შუქით. ეკლესია გარედან მოპირკეთებულია ფერადი ქვით. ალაგალაგ ქვა შეცვლილია აგურით, რომელიც შედარებით გვიან, შეკეთების დროს, ჩაუსვამთ დაზიანებულ ადგილებში.

ბეთანიის ეკლესია ყურადღებას იქცევს კედლის პირველხარისხოვანი მხატვრობით. სამწუხაროდ, ფრესკები ახლა ძალიან დაზიანებულია.

საკურთხეველში ვედრების კომპოზიცია იყო გამოსახული, რომლისგანაც შემორჩენილია ტახტზე მჯდარი ქრისტეს ფიგურის ფრაგმენტი. ამ კომპოზიციის ქვემოთ წინასწარმეტყველთა მთლიანი ფიგურებია; აღნიშნული მხატვრობა სხვა ნაწილის მხატვრობისაგან გამოირჩევა არქაულობით. აქ გამოსახული ყველა ფიგურა ფრონტალურად დგას, თუმცა წინასწარმეტყველთა გამოსახულებები ძლიერი მოძრაობითაა გადმოცემული.

გუმბათის მხატვრობა არ შემონახულა, თაღები მთლიანად შეთეთრებულია. მხატვრობა, ძირითადად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე შემორჩა. ჩრდილოეთის კედელზე დარჩენილი ფრაგმენტები გვიჩვენებს, რომ აქ დიდი ადგილი ეჭირა მაცხოვრის ე. წ. „ვნებათა

●

დააკვირდით ამ ფოტოსურათს და გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. სად მდებარეობს ეს ხიდი და რით არის საინტერესო მისი კონსტრუქცია?

2. ვინ არიან ამ ხიდის პროექტის ავტორები?

●

ციკლს". ჩვენს ძეგლებში აღნიშნული „ვნებათა ციკლი" არსად ისეთი დრამატულობით არაა მოცემული, როგორც ბეთანიის კედლის მხატვრობაში.

ეს თემა ხელოვნებაში უფრო მოგვიანებით, XIV საუკუნეში შემოდის. ამ ეპოქის ხელოვნებას რეალურ ცხოვრებასთან მეტი კავშირი ახასიათებს. მართალია, მოცემული სიუჟეტების გმირები რელიგიის მსახურნი არიან, მაგრამ ისინი უკვე მოსცილდნენ ციურ სამყაროს და ადამიანები გახდნენ.

ბეთანიის ეკლესიის კედლის მხატვრობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქტიტორთა გამოსახულებებს — გიორგი III, თამარ მეფესა და გიორგი ლაშას. გარდა იმისა, რომ ეს ფრესკები მხატვრული თვალსაზრისით ხელოვნების საინტერესო ნაწარმოებებია, მათ ისტორიულადაც დიდი მნიშვნელობა აქვთ; ჯერ ერთი — შემოგვინახა აღნიშნულ პირთა პორტრეტები, მეორეც — ისინი ათარიღებენ კიდეც აღნიშნულ ფრესკებს. მხატვრობაში გიორგი ლაშა მოხსენიებულია როგორც მეფეთ-მეფე. თამარ მეფემ თავისი შვილი „თანამოსაყდრედ" დაისვა დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ (1207 წ.). მაგრამ ლაშა გიორგი ამ ფრესკაში ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდაა და მას არ ამშვენებს მეფის გვირგვინი, — ის მეფედ აკურთხეს დედის გარდაცვალების შემდეგ (1213 წ.). გამოდის, რომ ბეთანიის ეკლესიის კედლის მხატვრობა შესრულებულია 1207-1213 წლებში.

ნ. ქარუმიძე.



როცა წერ, ხაზავ, ხატავ, თუ აწებებ რაიმეს, სულ იმის შიშში ხარ, უცაბედად ხელი არ გაჰკრა და არ წააქციო შუშა, რომელშიც მელანი, გუაში, ტუში ან წებოა. ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, შეგიძლია სულ ადვილად გააკეთო ფანერის პაწია კონტეინერი და შუშა შიგ ჩადგა.



ერთიმეორეზე მიწებებული ასანთის კოლოფებისაგან მშვენიერ „კომოდს" მიიღებ. უჯრებში ჩაყარე წვრილ-წვრილი საგნები: პაწაწინა ლურსმნები, ხრახნები, ჰანჩიკები, ქანჩები და ასე შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლია უჯრების რაოდენობა განუსაზღვრელად გაზარდო.



ძალიან დაგეზოგება დრო მუშაობისას, თუ მუდამ ხელთ გექნება შენთვის საჭირო ქაღალდის სტანდარტული ფურცლები. მუყაოსაგან გააკეთე 31×23×24 სმ. ზომის ყუთი, ჩამოჰკიდე იგი კარადის, სერვანტის კარის შიგნითა კედელზე, საწერი მაგიდის ტუმბურაზე და შიგ ჩააწყვე სტანდარტული ფურცლები — მათი ძებნა დროს არ წაგართმევს.

სამუშაო ხელსაწყოიარაღებს რომ ფრთხილი მოპყრობა უნდა, ეს უდავო ჭეშმარიტებაა.

რეზინის წელას ნაჭერს ჩანაჭრები გაუკეთე. ამ ჩანაჭრებში ჩააწყვე ხოლმე ხვეწი, სატეხი, დანა და სხვა მჭრელი სახელოსნო იარაღები ამიერიდან ისინი საიმედოდ იქნება შენახული.





თუ გინდა დაჭერილი თევზის მოხერხებული შესანახი გქონდეს, აიღე თუნუქის ქილა და შიგ ჩაუშვი დოლბანდის, კაპრონის ან წვრილი მავთულის ბადე. ბადეს სახურავი მიამაგრე (დახედე ნახატს). საკმარისია აწიო სახურავი, რომ ბადე მთლიანად ამოიტანს ნადავლს ქილაში ჩასხმული წყლიდან.



## ხანდაზმული კუ, ქარიყლაპია, ნიანგი, თევზი...

1787 წელს, ინდოეთის ოკეანეში, კუნძულ ეგმონტზე დაუჭერიათ გიგანტური კუ, რომლის ასაკი, მეცნიერთა შემოწმებით, ას წელს უდრიდა. ეს კუ ინგლისში წაუყვანიათ და ლონდონის ზოოპარკისათვის გადაუციათ, სადაც მიმდინარე საუკუნის ოციან წლებამდე იცოცხლა, — ცხოველთა შორის ყველაზე მეტ ხანს გასძლო.

გიგანტურ კუს სიცოცხლის ხანგრძლივობაში არც ნიანგი ჩამოუვარდება. აფრიკის ზოგიერთ ადგილებში აღრიცხულია ნიანგები, რომელთაც 300 წელზე მეტი უცოცხლიათ.

დიდხანს ცოცხლობს თევზიც. 1794 წელს, ცარიცინის გუბეების გაწმენდისას, დაუჭერიათ ერთი ქარიყლაპია, რომელსაც სხეულზე მიმაგრებული ჰქონდა ოქროს რგოლი წარწერით: „წყალში ჩავუშვი მეფე ბორის თევდორესძემ“. ეს ბორის თევდორეს ძე იყო ბორის გოდუნოვი, რომელიც 1598-1605 წლებში მეფობდა. ამრიგად, ამ ქარიყლაპიას უცოცხლია 200 წელი.

1497 წელს გერმანიაში დაუჭერიათ ქარიყლაპია, რომელიც 276 წლისა იყო.

ფრინველთა შორის ყველაზე დიდხანს ცოცხლობს ყვავი.

## სალბი

სალბი მრავალწლიანი, ნახევრადბუჩქისებური მცენარეა. ამ მცენარეს და მის სასარგებლო თვისებებს ჩვენი წინაპრები ძველთაგანვე იცნობდნენ: „ავადმყოფი არ მოკვდება თუ ბაღში სალბი იზრდებაო“, — ამბობდნენ ისინი. ბერძენი პოეტებიც უმღეროდნენ სალბის სამკურნალო თვისებებს.

ეს მცენარე წარმოშობით სამხრეთ ევროპიდანაა. იგი გავრცელებულია უკრაინაში, ჩრდილო კავკასიაში და ყირიმში.

სამკურნალო მიზნით იყენებენ სალბის ფოთოლს. შინაურ პირობებში მას გაციებისას და ყელის სხვადასხვა დაავადებებისას ხმარობენ.

სალბის ფოთოლს და მასში შემავალ ნივთიერებებს (ეთეროვანი ზეთი, რომელშიაც შედის ცინეოლი, ტუიონი და ტერპენი) მედიცინაც ყურადღებას აქცევს და იყენებს ხოლმე.

## აყირო

გოგრანაირების ოჯახის ერთ-ერთ წარმომადგენელს ლიტერატურაში აყიროს ეძახიან, ხოლო მისი კუთხური სახელია: გურიაში — მწარე ხაპი, იმერეთში — მწარე კვახი, თუშეთში — კოკოშა და ასე შემდეგ.

გოგრის ეს ჯიში მართლაც მწარეა, მიუხედავად ამისა, აყიროს თესავენ და უვლიან.

აყიროს ნაყოფს მრავალი ფორმა აქვს, მაგრამ ჩვენში, უმეტესად, ბოთლის ფორმისას თესავენ...

ვისაც ჩვენი ჭურ-მარანი უნახავს, აუცილებლად შეამჩნევდა ჭურჭელს, რომელსაც გურიაში კოპეს და ორკოპეს ეძახიან, იმერეთში კი — ორშიმოსა და ორხელას. კოპეთი, ანუ ორშიმოთი, ქვევრიდან ღვინოს იღებენ, ხოლო ორკოპეს ანუ ორხელას ქვევრის რეცხვის დროს ძირზე დარჩენილი სითხის ამოსაქცევად ხმარობენ. ყველა ესენი აყიროსაგან კეთდება.

აყიროს იყენებენ სხვადასხვა სითხეების შესანახად და გადასაზიდად; მასში ასხამენ ღვინოს ან წყალს და მინდვრად, სამუშაოზე გასვლისას, საგზალთან ერთად, მიაქვთ.

დიდრონ აყიროებში ინახავენ მარცვლეულს.

აყიროსაგან მრავალგვარ სათამაშოს აკეთებენ. რამდენიმე აყიროს ერთმანეთზე გადააბამენ და ცურვისას იყენებენ — იგი წყალში არ იძირება.

ინდიელები აყიროს მაიმუნების მახედ აგებენ: აყიროს ამოჭრიან ყელს ან გვერდს, ჩაყრიან შიგ მარცვალს და მაიმუნების საცხოვრებელ მიდამოებში ჩადგამენ; მაიმუნები მივარდებიან მას, ჩაყოფენ შიგ ხელებს, მარცვალს ჩამუჭავენ და სავსე მუჭს ზევით ვეღარ ამოიღებენ. ხარბი მაიმუნები მარცვალს ხელს არ უშვებენ მაშინაც კი, როცა ხედავენ, რომ მათ ადამიანი წაადგა თავს.



## უდიდესი ზომის სურათი

მსოფლიოში ყველაზე დიდი სურათი ინახება ვენეციაში, დოჟების სასახლეში. მისი ზომაა 7 მეტრი 22 მეტრზე. დახატულია იტალიელი მხატვრის ტინტორეტოს მიერ 1588 წელს. ეს ნახატი ცნობილია „სამოთხის“ სახელწოდებით.

## მუმია მიუვალ მწვერვალზე

არგენტინელ მთამსვლელს — ენრიკო გროჩს დიდხანს ჰქონდა ოცნებად—ასულიყო ანდების უმაღლეს მწვერვალ სიერა ელ ტეროზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 6 300 მეტრს აღწევს. ხანგრძლივი მზადების შემდეგ, გროჩმა და მისმა რამდენიმე მეგობარმა შეუტიეს მწვერვალს. იერიში გამარჯვებით დაგვირგვინდა. მთამსვლელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: მათ პირველებმა დაიპყრეს მიუვალი გოლიათი.

მაგრამ რაოდენ განცვიფრდნენ ისინი, როცა ზედ წვერზე დაინახეს პატარა მოედანი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა ადამიანის ხელი.

ვინ უნდა ყოფილიყო მათზე ადრე აქ? მალე ყველაფერი გამოირკვა: თურმე,

მრავალი ასეული წლის წინათ, სამხრეთ ამერიკაში მცხოვრებ წითელკანიანთა ტომებს ჩვეულებად ჰქონდათ მთის მწვერვალებზე სამსხვერპლოების მოწყობა.

გროჩმა და მისმა მეგობრებმა ასწიეს ერთ-ერთი ბრტყელი ქვა; ქვის ქვეშ აღმოჩნდა აკლდამა, აკლდამაში — კი ყმაწვილის მუმია.

რამდენიმე ხნის შემდეგ სპეციალურმა ექსპედიციამ მუმია ქალაქ სან-ხუანში ჩამოიტანა. სპეციალისტებმა დაადგინეს. რომ ყმაწვილი დანით იყო მოკლული და იგი ძველ ინდიელებს თავიანთი ღმერთისთვის ზვარაკად მიერთმიათ.

### ყველაზე „მოხუცი“ საკრავი

მუსიკალური საკრავები კაცობრიობისათვის უძველეს დროიდანვეა ცნობილი. ყველაზე ძველი მუსიკალური საკრავია— საყვირი. იგი ჯერ კიდევ 80 ათასი წლის წინ არსებობდა.

### ცოცხალი რეკლამა

თეირანის თევზის ბაზარში, ვაჭარ გლაზომის ფარდულში „სასწაული“ მოხდა. ერთ დილას ფარდულში მოიტანეს გაყინული თევზებით სავსე ყუთი. როცა ყუთი გახსნეს და თევზები გალხვნენ, ერთ-ერთი მათგანი გაცოცხლდა. იგი წყალში ჩააგდეს, სადაც მან, თითქოს და აქ არა-



ფერიო, გაოცებული მყიდველების თვალწინ არხეინად დაიწყო ცურაობა, ამბობენ, რომ ეს თევზი გლაზომის სავაჭრო ფარდულის ცოცხალ რეკლამად და გერბად იქცა.

### მწყემსების დღესასწაული

შვეიცარიის, გფრ-ის და ავსტრიის მთიან ადგილებში ძველთაგანვე არსე-



ბობს მწყემსების საშემოდგომო დღესასწაული. ბოლო ხანებში ამ დღესასწაულზე ძალიან პოპულარული გახდა სხვადასხვა სახის კონკურსები: ყველაზე სწრაფად წველაში, კარაქის შედღვებაში, ნახირის მოგროვებაში და ასე შემდეგ. ამას წინათ კი ჩატარდა... წვეროსანთა კონკურსი. გფრ-ის ერთ-ერთ ქალაქში გამართული ზეიმის მონაწილენი დღესასწაულზე მოვიდნენ ასი დღის გაუპარსავი წვერით, რომელზედაც მობმული ჰქონდათ ძროხის ეჟვნები.

# პატარა ტყვე

ორი წლის წინათ, მყინვარწვერის კალთებზე მონადირემ დედაჯიხვი მოკლა, ხოლო მისი პატარა თიკანი მკერდზე ატატებული სოფელში ჩამოიყვანა. თიკნის დანახვაზე გაიხარეს ყაზბეგელმა ბავშვებმა და სიამოვნებით იკისრეს მისი მოვლა. პატარა ტყვე მალე შეეჩვია ახალ მეგობრებს. თიკანი ტროტუარზე ბაკი-ბუკით დადიოდა, ამიტომ მას ბაკუნია შეარქვეს.





ბაკუნია ბავშვებს ყოველგვარ თამაშში აჰყვება ხოლმე, იგი ხშირად ბურთსაც თამაშობს მათთან, — წრეში ჩამდგარი ელოდება — როდის მიაწვდიან ბურთს, რომ ყალყზე შემდგარმა, თავისი ლამაზი რქებით, მოხდენილად დაარტყას.

ბაკუნია დიდი ბუტიაცაა, — თუ ვინმე უმიზეზოდ გაუწყრება, განმარტოვდება და სევდიანი თვალებით გაჰყურებს თოვლიან ჭიუხებს.

არავინ არ იცის, ეს მშვენიერი ცხოველი კვლავ მიაშურებს მშობლიურ მთებს, თუ თავის საყვარელ მეგობრებთან დარჩება სამუდამოდ.

შოთა არაბული.

## ახალი წიგნები

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მ. ასათიანის შემოქმედებას. ახლახან გამოვიდა მისი ლეგენდების კრებული — „ხალდეს ყვავილები“. მათი უმრავლესობა პირველად იბეჭდება.

სამშობლოს სიყვარული, ერთგულება, პატიოსნება, ადამიანების სულიერი სიმტკიცე და მხნეობა, აი, რით არის გამსჭვალული მწერლის ეს წიგნი.

1871 წლამდე ისტორიკოსებმა თითქმის არაფერი იცოდნენ ხეთების იმპერიის შესახებ, რომელიც დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებობდა. გერმანელი ჟურნალისტი კ. კერამი თავის წიგნში „ხეთების საიდუმლოება“ მეცნიერულ-პოპულარული ენით მოუთხრობს მკითხველს ხეთების უძველესი იმპერიის დამწერლობასა და კულტურაზე.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ ქართულად გამოსცა ირვინგ სტოუნის საინტერესო წიგნი „მეზღვაური უნაგირზე“, სადაც მოთხრობილია ცნობილი ამერიკელი მწერლის ჯეკ ლონდონის მხატვრული ბიოგრაფია. სტოუნმა ამ წიგნის დაწერის დროს გამოიყენა როგორც ჯეკ ლონდონის პირადი მიმოწერა, ისე მეგობართა და ახლობელთა მემუარები. „მეზღვაური უნაგირზე“, რომელიც 1938 წელს დაიწერა, დღემდე რჩება ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად ჯეკ ლონდონის ცხოვრებაზე.

ლიტერატორმა ნ. ალანიამ დაწერა წიგნი „ნათელი სიყვარულისა“. ავტორი ამ წიგნში ცოცხლად და საინტერესოდ გვესაუბრება დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის მოგზაურობის შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.









## სარჩევი


**მ. ლებანიძე** — დიდება დედას! (ლექსი)... გარეკ. მე-2 გვ.
**ნ. კილასონია** — იცნობდეთ: ჩვენი ხელმძღვანელია (ნარკვევი) . 1
**მ. ბარათაშვილი** — ხეთა ბაასი (ლექსი) . . . . . . 4
**ე. სახვაძე** — ზამთრის პოემა; მის გასართობად (ლექსები) . . 4
**ვ. ნატროშვილი** — უსათაურონი (ლექსები) . . . . . . 4
**ვ. ჩიკურიშვილი** — სამი უჩინმაჩინი (მოთხრობა, დასასრული) . . . . . . 6
კირკიტი კაკლები . . 11
**რ. ჩხეიძე** — როგორ ვიღებთ კინოფილმს (წერილი; გაგრძელება) . . 12
**ე. კოლდუელი** — კრისტი ტეკერის აღსასრული (მოთხრობა, თარგმნა ზ. გემაზაშვილმა) . . . . . 15
**ლ. თაბუკაშვილი** — ელენე ახვლედიანი (წერილი) . . . 18
**ვ. გაგუა** — სწავლა და შრომა (წერილი) . . . . 19
პიონერული კაბადონი . . . . . 22
**ვ. სიდამონიძე** — გულქან ხოლუაშვილი (წერილი) . . . 26
უცხოური იუმორი . . 26
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს? . 28
გამოცანები 29
ბუნების კარი . 30
ჯადოსნური სარკე 30
**შ. არაბული** — პატარა ტყვე (ნამდვილი ამბავი) . . . . . . 31
ახალი წიგნები . . 32
თავშესაქცევი . გარ. მე-3 გვ.


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — ედუარდ ამბოკაძისა.


რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
საერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 02929 ტირ. 47.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 19 II-66 წ. სტამბის შეკვ. 331. გამომც. შეკვ. 64. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.



## გამოაბით სახედარს კუდი



დახატე სახედრის დიდი სურათი, ოღონდ უკუდოდ, შემდეგ ცალკე დახატე კუდი და გამოსჭერი.

სახედრის სურათი მიაკარი კედელზე და სცადე კუდი გამოაბა.

თამაშის მთელი სეირი იმაშია, რომ სახედარს კუდი თვალახვეულმა უნდა მიაბა და, რასაკვირველია, სწორედ იქ, სადაც მისი ადგილია.

# ? თავშესაქცევი

## ჩრდილები კედელზე

ეს გასართობი სამყაროსავით ძველია. შესაძლოა, რომ ჩვენი შორეული წინაპრები—ქვის ხანის ადამიანები—იცნობდნენ ასეთ თავშესაქცევს და მისით ერთობოდნენ კიდეც.

კედელზე სხვადასხვა ჩრდილის ჩვენება ბავშვებისათვის მარტო გასართობი როდია,—იგი ავარჯიშებს დაკვირვების უნარს, საუკეთესო საშუალებაა ხელების ზუსტი მოძრაობის გამოსამუშავებლად.

ჩრდილების მისაღებად ელექტრონათურა ისე უნდა დადგათ, რომ ხელის ჩრდილი ზუსტად გადავიდეს კედელზე.



# ნუცუკი ზამთარში

ი. დოიაშვილისა.



# ელენე ახვლედიანი



ათონი



შატილი



ლეჩხუმი



ძველი ტალინი

ИНДЕКС 76157